

ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო N22, მარტი, 2013 წელი

აფხაზური ენა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

ნათო კორსანძი

„ვისწავლოთ აფხაზური ენა“, - ასე ჰქვია აფხაზური ენის თვითმასწავლებელ ელექტრონულ პროგრამას, რომელიც აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ შექმნა და რომლის პრეზენტაციაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. პროგრამის პრეზენტაციას საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი დაესწრო.



ირმა ოსია-კინწურაშვილი, გიორგი მარგველაშვილი და ალექსანდრე აპლაკოვი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, აფხაზური ენა, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე მეორე სახელმწიფო ენაა. ეს გარემოება ჩვენს ქვეყანას ავალდებულებს, რომ აფხაზური ენის, კულტურისა და იდენ-

ტიობის შენარჩუნებასა და მის განვითარებაზე იზრუნოს. ამდენად, რეალობა თავისთავად გვკარნახობს ქმედებას, რაც ამ შემთხვევაში აფხაზური ენის თვითმასწავლებელი პროგრამის შექმნაში გამოიხატა. ნებისმიერ მსურველს, ამ

პროგრამაზე დაყრდნობით, შეეძლება აფხაზური ენის საფუძვლებს გაეცნოს.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა, - თქვა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა, - ნიშანდობლივია, რომ ქართული სახელმწიფოს, ქართული კულტურის წიაღში ვითარდებოდა აფხაზური სულიერება, აფხაზური კულტურა. ჩვენ შევქმნით ახალ ქვეყანას, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად იქნება აფხაზეთი, იქნებიან აფხაზები, ოღონდ, არა დამარცხებულნი, არამედ ჩვენთან ერთად გამარჯვებულნი. ჩვენ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან ერთად ვინყებთ ერთობლივი პოლიტიკის შემუშავებას აფხაზეთის საგანმანათლებლო სივრცის მიმართ. რაც შეეხება აფხაზური ენის თვითმასწავლებელ ელექტრონულ პროგრამას, ვგეგმავთ, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს მთელი საქართველოს ახალგაზრდობისთვის და ქართულ სულიერებაში, ქართულ კულტურაში ტრიალებდეს“.

პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ალექსანდრე აპლაკოვმა:

„სიმბოლურია ისიც, რომ პროგრამის პრეზენტაცია ოკუპაციის კვირეულს დაემთხვა: ოკუპაციის თანამდევნი ხომ ენის წართმევა თუ მისი წართმევის მცდელობაცაა, რასაც რუსეთის ხელისუფლება აფხაზური ენის მიმართ მიზანმიმართულად ეწევა.“


ბაბრძალაბა მ-3 გვარამაძე

თაიმურაზ გვანცულაძე:

აფხაზებთან საერთო ენას ყველაზე უკეთ აფხაზურ ენაზე გამოვსახავთ

გვ. 3-4

ბაღია - საქართველოს ერთიანობის სიმბოლო



გვ. 9

ბელა ჩჰანავა:

ჩემთვის ორი მაგიური სიტყვა არსებობს - "სოხუმი", "ძიძარია"

ქუჩა, სადაც სოხუმში ვცხოვრობდი

გვ. 10

ინოვაციური, თამაში და თითქმის უპრეცედენტო

აქ მუსიკალურთან ერთად აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებასაც ეუფლებიან



გვ. 11



ჭოლა კუკულაძე -

საქართველოს დამსახურებული მხატვარი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, წლების განმავლობაში აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე წლეულს 90 წლის ვახდებოდა.

მაისში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ მხატვარ ჭოლა კუკულაძის საიუბილეო საღამოს გამართავს და მისი ნამუშევრების კრებულის გამოსცემს.

ჭოლა კუკულაძე.
„ბალატიონი და ზღვა“

გვ. 5-8

სოხუმის უნივერსიტეტი ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე

ნინო ჯორიჯაძე

გლობალიზაციის ეპოქაში უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაცია და ეროვნებათა შორის კულტურული კავშირები უაღრესად მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს თავის საქმიანობას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური, რომელსაც **მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ინდირა ძაგანია** ხელმძღვანელობს. სამსახურის ძალისხმევით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობები დაამყარა, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის, მათ შორის, იტალიის, პორტუგალიის, პოლონეთის, ლატვიის, ლიტვის, რუმინეთის, საბერძნეთის, უკრაინის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას, ყაზახეთის და სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან. უნივერსიტეტში დაფუძნებულია "მეგობრობის კაბინეტი", სადაც სხვადასხვა ენას, უცხოელი სპეციალისტების დახმარებით, ასობით სტუდენტი უფასოდ ეუფლება. სამსახურმა მჭიდრო კონტაქტები დაამყარა არაერთ საელჩოსთან. იუნესკოს ეგიდით ატარებს "ელჩის საათს", რომელიც საქართველოში აკრედიტებული ელჩების მიერ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის თავიანთი ქვეყნების კულტურის გაცნობას ითვალისწინებს.



მარტენიდან მეორე ინდირა ძაგანია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის კომისია აცხადებს კონკურსს

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიაზე განაცხადები მიიღება შემდეგ დარგებში: ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, პუბლიცისტიკა, არქიტექტურა.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია ენიჭება ლიტერატურის, მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში 2011-20 წლებში შექმნილ ნაწარმოებებს, რომლებმაც მხატვრული, სამეცნიერო და სხვა ღირსებათა გამო საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვეს და წარმოადგენს შენაძენს ქართული ლიტერატურის, მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს ოთხისა, თითოეული 3000 ლარის ოდენობით.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში კანდიდატთა წარდგენის პირობები და წესი

ა) გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და არქიტექტურის დარგებში და აქვთ შესაბამისი ავტორიტეტი და კომპეტენცია.

ბ) პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად;

გ) პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი.

დ) ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების წარდგენა უნდა მოხდეს დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ. ხელოვნების სხვადასხვა დარგებში შექმნილი ნაწარმოებების საკონკურსოდ წარდგენა შეიძლება მას შემდეგ, რაც მათ სრულად გაცნობა საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, კინოთეატრებში, მასმედიის საშუალებების მეშვეობით; არქიტექტურის დარგში შექმნილი ნაწარმოებების საკონკურსოდ წარდგენა უნდა მოხდეს ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ. მეცნიერების დარგში შექმნილი ნაშრომის საკონკურსოდ წარდგენა შეიძლება სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების ან/და მისი პრაქტიკული განხორციელების შემდეგ.

ე) დაუშვებელია პრემიის მოსაპოვებლად კომისიის მიერ უარყოფილი ნაწარმოების (ნაშრომის) ხელმოწერა წარდგენა. პრემიის მოსაპოვებლად ავტორის განმეორებით წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ახალი ნაწარმოებით (ნაშრომით),

ვ) ავტორთა ჯგუფისათვის პრემიის მიენიჭებისას, პრემია ავტორთა შორის ნაწილდება თანაბრად.

კონკურსზე მონაწილეობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია

1. წარდგინება, ანუ ნაწარმოების, ნაშრომის აღწერა-დახასიათება იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიაზე წარდგინება. დოკუმენტს ხელს აწერს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

2. საკონკურსო ნაწარმოების, ნაშრომის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა მასალები ნაწარმოებზე, ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად.

3. კანდიდატის ბიოგრაფია (CV).

4. ლიტერატურული ნაწარმოები 12 ეგზემპლარად, სამეცნიერო ნაშრომი 12 ეგზემპლარად, სიმფონიური ნაწარმოების პარტიტურა 12 ეგზემპლარად, აუდიო, ვიდეო ჩანაწერები.წარმოდგენილი ნაშრომები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

5. კანდიდატის ორი ფოტოსურათი (6X9 სმ).

საკონკურსო განცხადებებისა და თანდართული მასალების მიღების ვადები

1. საკონკურსო განცხადებები და მასალები მიიღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში 2013 წლის 1 ივნისამდე, შაბათ-კვირის გარდა, 10.00 სთ-დან 17.00 სთ.-მდე.

2. კონკურსის საბოლოო შედეგები და პრემიის ლაურეატთა სია გამოქვეყნდება 2013 წლის 23 ნოემბერს.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, უზნაძის ქ. N68, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო. ტელ. 295-18-49 საკონტაქტო პირები: ია მაისაია, ეკა გადილია

შეხვედრა სამინისტროში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ალექსანდრე აპლაკოვი საქართველოს ოლიმპიელთა კლუბის პრეზიდენტს კახი კახიას შეხვდა.

შეხვედრის მიზანია აფხაზეთის საჯარო სკოლებში სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდების ინფორმირება არაჯანსაღი ცხოვრების წესის საფრთხეების შესახებ, მოზარდების აქტიური ჩაბმა სპორტში და ფიზიკურ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში. შეხვედრის ფარგლებში ასევე განიხილეს მიმდინარე პროექტები და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

საკუთარი ინფორმაცია



ტრადიციული "ხუთშაბათობა" ილიას მეზუზუმში

როზა მირცხულავა

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში დამკვიდრებული ტრადიციული "ხუთშაბათობა" ამას წინათ წმინდა მღვდელმთავარ ამბროსი აღმსარებლის (ხელაია) ხსოვნას მიეძღვნა. ამ "ხუთშაბათობის" ინიციატორი კინოცენტრი "აფხაზეთი" იყო. მათვე აწეიეს მუზეუმს აფხაზეთის N2 და N3 საჯარო სკოლის მოსწავლეები და აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრები. ხსოვნის საღამო მუზეუმისა და კინოცენტრ "აფხაზეთის" სასწავლო-საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტის ფარგლებში ჩატარდა და ის მომავალ თაობებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და ეროვნული ფასეულობების დაცვას ემსახურებოდა.

წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა პროფესორმა **ჯემალ გამახარია**მ, რომელმაც შარ-

შან წმინდანისადმი მიძღვნილი მონოგრაფია გამოსცა. მონოგრაფიაში "წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)" გაშუქებულია წმინდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები მშობლიურ აფხაზეთში - ილორ-ოჩამჩირეში გატარებული ბავშვობიდან ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის უძიმესი წლებით დამთავრებული. ჯემალ გამახარია მუზეუმსა და დამსწრე საზოგადოებას საჩუქრად ეს მონოგრაფია და თავისი სხვა წიგნები გადასცა.

ილია ჭავჭავაძისა და ამბროსი ხელაიას, ამ ორი დიდი ადამიანის ურთიერთობაზე ისაუბრა **ხათუნა იმნაძემ, მუზეუმის მეცნიერთანამშრომელმა**. მოხსენებების შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია, ხოლო ფოლკლორულმა ანსამბლმა "შავლეგომ" საგალობლები შეასრულა. მუზეუმის დირექციას აქტიური და საინტერესო თანამშრომლობისთვის აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საპატიო დიპლომი გადაეცა.



ჯემალ გამახარია მუზეუმს თავის წიგნებს გადასცემს

აფხაზური ენა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

პირველი გვერდიდან

ამის შედეგია ის, რომ იუნესკომ აფხაზური ენა გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარ ენათა სიაში ოფიციალურად შეიტანა. ჩვენი მიზანია, ამ და სხვა პროექტებით გამოვაფხიზლოთ აფხაზები, შევასხენოთ, რომ ენა თვითმყოფადობის შენარჩუნების უმთავრესი გარანტია. ამასთანავე, დავეხმაროთ მათ მის შენარჩუნებაში. ეს ჩვენი ვალდებულებაა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის თანახმად აფხაზური ენა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქართულ ენასთან ერთად, მეორე სახელმწიფო ენაა. ერთი სიტყვით, აფხაზური ენის დაცვის გარანტია ჩვენი სახელმწიფოს უზენაესი კანონია. სამომავლოდ ვფიქრობთ, აფხაზეთის საჯარო სკოლებში აფხაზური ენის სწავლება შემოვიღოთ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემ წინამორბედ **მინისტრს დალი ხომერკს**, ამ მნიშვნელოვანი პროგრამის იდეის ავტორს. აფხაზური ენა ქართულ ენასთან ერთად უნდა გახდეს აფხაზებთან უშუალო ურთიერთობის უმთავრესი ენა - ერთმანეთს საერთო პრობლემებზე ქართული და აფხაზური ენებით უნდა ველაპარაკოთ, რაც ჩვენს შორის ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს".

აფხაზური ენის თვითმასწავლებელი ელექტრონული **პროგრამის ავტორი და შემდგენელია დავით სონლულაშვილი**, ხოლო ის მეთოდოლოგიურად და ენობრივად გამართა და გაახმოვანა **აფხაზური ენის სპეციალისტმა ირმა ოსია-კინწურაშვილმა**. სწორედ მათ წარუდგინეს დამსწრეთ აფხაზური ენის თვითმასწავლებელი.

აფხაზური ანბანის წარმოშობის ისტორია და მისი განვითარების ეტაპები მოკლედ მი-



მოიხილა **აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის უფროსმა, ისტორიის დოქტორმა ირაკლი გელენავამ**.

მან ქრონოლოგიურად გახაზა გზა, რომელიც აფხაზურმა ანბანმა რუსეთის არმიის გენერლის პეტრე უსლარის მიერ რუსული ე.წ. კირილიური ანბანის გრაფიკაზე დაყრდნობით შექმნიდან აფხაზი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი გულიას მიერ მის დახვეწამდე განვლო. "ეს იყო რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელიც უპირველესად საბ-

ჭოთა ენობრივი პოლიტიკით იყო ნაკარნახევი. სწორედ ამ პოლიტიკის გამო ვერ შენარჩუნდა 1937-1954 წლებში მოქმედი ქართული ასობგერების მიხედვით შექმნილი აფხაზური ანბანი. რუსიფიკაციის იდეოლოგიები მიზნად ისახავდნენ და ისახავენ აფხაზი ხალხის საბოლოოდ მოწყვეტას ქართული კულტურული სივრცისგან. ასევე, მიმდინარეობს აფხაზური ენის აქტიურობის განეიტრალების პროცესი, - განაცხადა **ირაკლი გელენავამ** და დასძინა, - მიუხედავად რუსეთის ცარიზმის, შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების და

დღევანდელი რუსეთის მმართველობის დიდი მცდელობებისა - არ განვითარებულიყო აფხაზური დამწერლობა, ეს პროცესი მაინც დაიწყო და მიმდინარეობს, რაშიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს ქართველი ინტელიგენცია და ამაზე აფხაზური ენის თვითმასწავლებელი ელექტრონული პროგრამაც მეტყველებს".

აფხაზური ენის თვითმასწავლებლის შექმნის დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრა, ასევე, **თეიმურაზ გვანცელაძემ, აფხაზოლოგმა, ფილოლოგიის დოქტორმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის დირექტორმა**.

2007 წელს ოფიციალურმა სოხუმმა მიიღო „კანონი ენის“ შესახებ. ამ კანონის თანახმად, „აფხაზეთის სახელმწიფო ენა არის აფხაზური, ხოლო რუსული აფხაზურთან ერთად აღიარებულია სახელმწიფო და სხვა დაწესებულებათა ენად".

აქედან გამომდინარე, რუსული ენა აფხაზეთში „კანონით“ აფხაზურ ენასთან არის გათანაბრებული. სინამდვილეში კი აფხაზური ენა ვერ „უთანაბრდება“ რუსულ ენას. ის, როგორც სახელმწიფო ენა, სრულფასოვნად არ მონაწილეობს აფხაზეთის ოფიციალურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. აფხაზებმა, ნებისით თუ უნებლიეთ, დათმეს თავიანთი მშობლიური ენისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები, რის გამოც, როგორც ჩანს, მათ შემძახებელი ჩვენს გარდა, არავინ ჰყავთ. აფხაზური ენის თვითმასწავლებელი ელექტრონული პროგრამა აფხაზური ენის სწავლის გარდა, სწორედ ამასაც გულისხმობს.

თეიმურაზ გვანცელაძე:

აფხაზებთან საერთო ენას ყველაზე უკეთ აფხაზურ ენაზე გამოვნახავთ

ბაია ჰონია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზური ენის მკვლევარი თეიმურაზ გვანცელაძე, მიუხედავად იმისა, რომ დღეს თავისი პროფესიით თავის რჩენაც კი უჭირს, მაინც თამამად აცხადებს, რომ ცხოვრებას თავიდან რომ იწყებდეს, ისევ ამ საქმეს აირჩევდა. ცნობილ ენათმეცნიერებთან - არნოლდ ჩიქობავასთან და ქეთევან ლომთათიძესთან მუშაობამ მისი, როგორც პიროვნების და მეცნიერის ჩამოყალიბებაზე იმდენად დიდი გავლენა მოახდინა და იმდენად შეაყვარა ეს საქმე, რომ მზად არის ენთუზიაზმზეც კი ემსახუროს მას. ყოველივე ამაზე და აფხაზური ენის სწავლების მნიშვნელობაზე თავად თეიმურაზ გვანცელაძე გვესაუბრება.

- თქვენ არნოლდ ჩიქობავასა და ქეთევან ლომთათიძის მონაფე იყავით. აფხაზური ენის სიყვარული და მისი სიღრმისეული კვლევისკენ სწრაფვა სწორედ ამ ადამიანებისგან გამოგყვათ. როდის და როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

- ეტყობა, ღვთის ნებით, 1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების განყოფილების სტუდენტ გახვდი. ენებისადმი ინტერესი მანამდეც მექონდა, მაგრამ იმ ენების შესახებ, რომლებიც ამ განყოფილებაში ისწავლებოდა, მანამდე წარმოდგენა არ მექონდა.

- ამ სპეციალობაზე შემთხვევით მოხვდით?

- დიახ. ჟურნალისტობა მინდოდა, მაგრამ მაშინ ამ ფაკულტეტზე ჩასაბარებლად სტაჟს ითხოვდნენ, რაც მე არ მექონდა და ამის გამო აღმოვჩნდი კავკასიური ენების განყოფილებაზე, სადაც ასწავლიდნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან ლომთათიძე, გიორგი როგავა, ლია ცერცვაძე. დიდი ბედნიერება იყო ამ ბრწყინვალე მეცნიერებთან და არაჩვეულებრივ პედაგოგებთან მუშაობა. მათ ერთი ყველაზე მთავარი რამ გვასწავლეს, რომ ჩვენ ქართველები და ჩვენი მონათესავე კავკასიის ხალხები - აფხაზები, აბაზგები, ჩერქეზები, ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები ერთმანეთის მონათესავე ხალხები ვართ და ისევე უნდა გვიყვარდეს მათი ენები, კულტურა, ისტორია, როგორც საკუთარი.

- რამდენი სტუდენტი სწავლობდა თქვენთან ერთად?

- კავკასიური ენების განყოფილებაზე სულ ხუთი სტუდენტი ჩავირიცხეთ.

- ანუ, ამ სპეციალობისადმი დიდი ინტერესი არც მაშინ იყო?

- დაინტერესება დიდი არ იყო, მაგრამ ვინც სწავლობდა, ყველა წარმატებული მეცნიერი გახდა პუშკინტარულ მეცნიერებათა დარგში. მეორე მსოფლიო ომის დროს უნივერსიტეტში კავკასიური ენების სპეციალობაზე ერთკაციანი ჯგუფი არსებობდა და ეს ერთი სტუდენტი იყო დიდი და განუმეორებელი ადამიანი ანა კალანდაძე. ასე რომ, როდესაც ქალბატონი ანა ლექციაზე მიბრძანდებოდა, დასწრება იყო ასპროცენტისანი, თუ არ მივიდოდა, გაცდენაც ასევე ასპროცენტისანი იყო. ქალბატონი ანა, როდესაც ის ენათმეცნიერების ინსტიტუტში არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით სწავლობდა და მუშაობდა, იხსენებდა, რომ ყოველთვის მაღლიერი იყო ამ განყოფილებაზე სწავლით. ამაში მე მას ვეთანხმები. ჩემი მასწავლებლებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო აფხაზური და აბაზგური ენების ყველაზე დიდი სპეციალისტი ქეთევან ლომთათიძე. ქართველი ქალი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც და ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც შეიღებოთ გაზარდა დაახლოებით 80-მდე აფხაზი ახალგაზრდა, რომლებიც შემდგომში ძალიან ცნობილი მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები გახდნენ. მიუხედავად



თეიმურაზ გვანცელაძე ეროვნულ ბიბლიოთეკაში

იმისა, რაც მოხდა აფხაზეთში, აფხაზებს ერთი ნაშთიც კი არ შეპარვიათ ეჭვი ქალბატონი ქეთევანის არაჩვეულებრივ ადამიანობასა და აფხაზური ენისა და აფხაზი ხალხისადმი გულწრფელ სიყვარულში. როდესაც ქალბატონი ქეთევანი გარდაიცვალა (2007 წელს), აფხაზეთიდან იყო ზარები და სამძიმარი ოჯახის მიმართ. მეც მომდიოდა და დღესაც მომდის ხმები, რომ ქალბატონი ქეთევანის სახელს, მიუხედავად ყველაფრისა, ოდნავადაც კი არ მიკარებია ჩრდილი. ეს ადამიანი შეიძლება აფხაზურ-ქართული ურთიერთობების სიმბოლოდაც მივიჩნიოთ. ბედის მაღლიერი ვარ, რომ მისი მონაფე ვიყავი. სწორედ მისმა ლექციებმა განსაზღვრა ჩემი არჩევანი, აფხაზური ენის სპეციალისტი გავმხდარიყავი.

ქალბატონმა ქეთევანმა სტუდენტობისას გაგვაგზავნა აფხაზეთში, სადაც მანამდე არასოდეს ვყოფილვარ. ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სოფელ ჭლოუში მე და ჩემმა ჯგუფელებმა თითქმის ერთი თვე დავეყავით. არასოდეს დამავინწყდება იქ, აფხაზებთან ურთიერთობისას მიღებული შთაბეჭდილებები.

პირველივე წუთებიდან, როდესაც აფხაზებმა დაინახეს, რომ სოფლის ცენტრში რამდენიმე ახალგაზრდა ქართულად ლაპარაკობდა, მაშინვე მოგვაქციეს ყურადღება. როდესაც გაიგეს, რომ აფხაზურ ენას ვსწავლობთ ქეთევან ლომთათიძის ხელმძღვანელობით და იქ ჩასული ვართ იმისთვის, რომ ცოცხლად მოვისმინოთ ეს ენა და გავეცნოთ აფხაზი ხალხის კულტურას, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხუთნი ვიყავით. იქვე, სახელდახელოდ გაიმართა თათბირი, თუ ვის ოჯახში ვიცხოვრებდით. ერთ კაცს უნდოდა ხუთივე თავის სახლში წავეყვანეთ. ამაზე ატყდა დიდი კამათი, დავა, ვერ მორიგდნენ და საბოლოოდ რამდენიმე ოჯახში გავენახილდით. ეს ბავშვები ენის შესასწავლად არიან ჩამოსულნი და თუ ყველანი ერთად იქნებიან, ერთმანეთში ისევ ქართულად ილაპარაკებენ და ამიტომ, ჯობია ცალ-ცალკე იცხოვრონო. მთელი სოფლისგან საოცარი ყურადღება ვიგრძენით.

თეიმურაზ გვანცელაძე:

აფხაზებთან საერთო ენას ყვედაზე უკეთ
აფხაზურ ენაზე გამოვნახავთ

მე-3 გვერდიდან

- ამით აფხაზური სტუმარ-მასპინძლო-
ბის ტრადიციასაც გაეცანით.

- მანამდე გაგონილი მქონდა ამის შესახებ, მაგრამ იქ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გა-
დააჭარბა. ბავშვები დაგვსდევდნენ, გვე-
კითხებოდნენ აფხაზურ სიტყვებს, აბა, თუ
იცით, რას ნიშნავსო. თითქმის ყველა ოჯახში
გვეპატიჟებოდნენ. ამით გამოხატავდნენ პა-
ტივისცემას იმის გამო, რომ აფხაზურ ენას
ვსწავლობდით. ასპირანტურის პერიოდში და
შემდეგაც ხშირად ჩავდიოდი აფხაზეთში,
აფხაზი გლეხების ოჯახებში. არ მახსოვს შემ-
თხვევა, ვინმეს ცუდად შემოხედოს იმის გა-
მო, რომ ქართველი ვიყავი. ყველას სიამოვ-
ნებდა, რომ აფხაზურ ენას ვსწავლობდი. ამ-
დენად, ამ საქმეს არა მხოლოდ სამეცნიერო,
არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობაც
ჰქონდა ურთიერთობების დათბობის თვალ-
საზრისით. ერთხელაც, გუდაუთის რაიონის
ერთ-ერთი სოფლის ბიბლიოთეკაში აღმოვჩნ-
დი. როდესაც ბიბლიოთეკარმა ქალბატონმა
გაიგო, რომ ქათველი ვარ და აფხაზურის შე-
სასწავლად მის სოფელში ჩავედი, ისე გაუ-
ხარდა, ბიბლიოთეკაში განვერიანება შემომ-
თავაზა. მკითხველის ბილეთის შევსებისას
მითხრა, ხომ არ გენყინებათ, თქვენი მონაცე-
მები ქართულად ჩაწეროო. ძალიან მესია-
მოვბა და მიზეზი ვკითხე. მიპასუხა, სკოლაში
ისეთი ქართულის მასწავლებელი მყავდა, ახ-
ლაც მიყვარს ქართულად წერა-კითხვა და
მინდა ეს გამოვხატოო.

- 1924 წელს თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში აფხაზური ენის სწავლება
ივანე ჯავახიშვილმა შემოიღო. ამისთვის
მან დიმიტრი გულია მოიწვია. იმ დროიდან
მოყოლებული დღემდე უნივერსიტეტში
აფხაზური ენის სწავლება არ შეწყვეტილა.

- ივანე ჯავახიშვილს 1918 წელს, უნივერ-
სიტეტის დაარსებისთანავე ჰქონდა განზრა-
ხული აფხაზური და მისი მონათესავე კავკა-
სიური ენების, ჩერქეზულისა და ჩეჩნურის
სწავლება შემოეღება. სამწუხაროდ, მაშინ
მან ეს ვერ მოახერხა, რადგან აფხაზური ენის
მასწავლებლად სურდა მოეწვია ამ ენის შესა-
ნიშნავი მცოდნე და მკვლევარი, აფხაზეთში
მცხოვრები ქართველი მეცნიერი პეტრე ჭა-
რაია, რომელიც მალევე გარდაიცვალა. 1924
წელს მან მაინც მოახერხა ამ გეგმის განხორ-
ციელება და არჩევანი დიმიტრი გულიაზე შე-
აჩერა. ბატონი დიმიტრი უნივერსიტეტში
აფხაზურ ენას ორი წლის განმავლობაში ას-
წავლიდა. შემდეგ მას შეენაცვლა სიმონ ჯანა-
შია, რომელიც თავადაც აფხაზეთში იყო და-
ბადებული და ბრწყინვალედ იცოდა აფხაზუ-
რი ენა. ბატონი სიმონი ათი წლის განმავლო-
ბაში მუშაობდა ამ მიმართულებით. 1937 წლი-
დან 90-იანი წლების დასაწყისამდე ამ საქმეს
სიმონ ჯანაშიას საუკეთესო მოწაფე ქეთევან
ლომთათიძე აგრძელებდა. ერთხანს მეც
ვკითხულობდი აფხაზური ენის კურსს. უკვე
13 წელია სოხუმის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტშიც ისწავლება აფხაზური ენა და ამ პრო-
ცესს მე ვხელმძღვანელობ. გვაქვს აფხაზური
ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

- რამდენი სტუდენტი სწავლობს ამ სპე-
ციალობაზე?

- სულ ორი ჯგუფია. ერთ ჯგუფში ოთხი
სტუდენტია. ისინი მეოთხე კურსზე არიან და
მალე დაამთავრებენ. მეორე ჯგუფი არ ამ სემეს-
ტრში შეიქმნა და იქ მხოლოდ სამი სტუდენ-
ტია. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ენგურს
გამოღმა აფხაზური ენის სწავლებას სათანა-
დო ყურადღება არ ექცევა. არადა აუცილებე-
ლია, რომ სტუდენტებმა ამ საკითზე სახელწ-
მიფოს ზრუნვა დაიწახონ. ახლახან საქარ-
თელოს განათლებისა და მეცნიერების სამი-
ნისტრომ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩი-
ნა, როდესაც გადაწყვიტა, სახელმწიფოს და-
ეფინანსებინა რამდენიმე სპეციალობის სტუ-
დენტთა სწავლება. მათ შორის ქართველო-
ლოგიაც დასახელდა. ასეთივე ყურადღება
ესაჭიროება აფხაზოლოგიასაც. რაკი აფხა-
ზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია,
რაკი ჩვენი კონსტიტუციით აფხაზური სა-
ქართველოს მეორე სახელმწიფო ენაა და
აფხაზები ჩვენი მოქალაქეები არიან, ეს გვა-
ვალდებულებს განსაკუთრებული ყურადღე-
ბა მივაქციოთ მას. ჰაერითი არის საჭირო
აფხაზური ენის მცოდნე ქართველი სპეცია-
ლისტები, რომელთაც სხვა ენის გამოყენების



თეიმურაზ გვანცელაძე

გარეშე შეიძლება ურთიერთობა თავიანთ
თანატოლებთან და კოლეგებთან.

- ამით შესაძლებელია, აფხაზური პრობ-
ლემის მოგვარების ენადაც კი იქცეს და მო-
ლაპარაკებები სწორედ ამ ენაზე წარიმარ-
თოს?

- რა თქმა უნდა. 80-იანი წლების ბოლოს,
როდესაც აფხაზებსა და ქართველებს შორის
ვითარება დაიძაბა, რამდენჯერმე ვიყავი სო-
ხუმში ჩასული და საკმაოდ დაძაბულ ვითარე-
ბაში აღმოვჩნდი, მაგრამ როგორც კი აფხა-
ზურად მივმართე მათ, იმ წამსვე განიმუხტა
სიტუაცია. უკვირდათ, რომ ქართველმა
აფხაზური ენა იცოდა. ამდენად, კონფლიქ-
ტის მოგვარების დროს ამ ენის გამოყენება
უმნიშვნელოვანესია. ეს ისეთი ფაქტორია,
რომლის უგულვებელყოფა არ შეიძლება. 2010
წელს ჩვენმა სახელმწიფომ შეადგინა სტრა-
ტეგია, რომელიც აფხაზური ენის, იდენტობი-
სა და კულტურის გადარჩენას გულისხმობდა.
სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი პრაქტიკულად
არ ამოქმედებულა. არავინ მოსულა ჩვენიან,
აფხაზური ენის სპეციალისტებთან და არავის
უკითხავს, რა პრობლემები გექონდა. აარადა,
საერთაშორისო საზოგადოებამ ეს დოკუმენ-
ტი დადებითად შეაფასა. სოხუმის უნივერსი-
ტეტთან არსებული აფხაზური ენისა და კულ-
ტურის ინსტიტუტის (ის ჩემი ხელმძღვანე-
ლობით უკვე 5 წელია არსებობს) ოთხი თა-
ნამშრომლიდან არც ერთი მტკაში არ ვართ.

- რამდენადაც ვიცი, მიუხედავად სიძნე-
ლეებისა, ნაყოფიერად მუშაობთ. არაერთი
მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოეცით, რო-
გორიცაა აფხაზურ-ქართული და ქართულ-
აფხაზური ლექსიკონები, აფხაზური მხატვ-
რული ლიტერატურის კრებული.

- დიახ, ეს ასეა, თუმცა ჩვენი ინსტიტუტის
ოთხ თანამშრომელს ხშირად ენთუზიაზმზე
უნევს მუშაობა. ამჟამადაც ჩვენ ხელშეკრუ-
ლება არ გვაქვს გაფორმებული და, ფაქტობ-
რივად, ჰაერში ვართ. არადა, ეს საკითხი სა-
ხელმწიფო დონეზე უნდა იდგეს. მე სხვა საქ-
მე არ გამაჩნია. მადლობა უფალს, რომ მყავს
ერთგული მონაფეები (სამი მონაფე). 2011
წელს ჩვენმა ინსტიტუტმა მოიპოვა გაეროსა
და ევროკავშირის გრანტი, რომელიც გულის-
ხმობდა აჭარაში მცხოვრები აფხაზების ენის
შესწავლას. ამ პროექტში ჩვენ ჩავერთეთ
ჩვენს ბაკალავრებთან ერთად. აჭარის სოფ-
ლებში მოვანყვით ექსპედიციები. ჩავინერეთ
ძალიან მნიშვნელოვანი მასალა და მარტო ამ
გრანტის ფარგლებში სამი წიგნი გამოვეცით
ქართულად, რუსულად და ინგლისურად. ეს
მასალა განვთავსეთ ინტერნეტში და იგი
აფხაზი კოლეგებისთვისაც ხელმისაწვდომია.
როგორც ვიცით, ისინი იყენებენ ამ მასალას
და ამით ძალიან მადლიერნი არიან. ჩვენი და
ენათმეცნიერების ინსტიტუტის ძალისხმე-
ვით დავაარსეთ ორი სამეცნიერო კრებული -
„ფილოლოგიური პარალელები“, რომლის ხუ-
თი ტომია დაბეჭდილი და „ლინგვისტური

ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის
პრობლემები“, რომლის სამი ტომი გამოიცა.
ფინანსური პრობლემების გამო, ამჟამად მა-
თი დაბეჭდვა გაჩერებულია. ასევე გამოვე-
ცით აფხაზური მხატვრული ლიტერატურის
ფუძემდებლის, დიმიტრი გულიას ლექსების
პირველი, 1912 წელს დაბეჭდილი კრებული
რეპრინტული გამოცემა. ეს მოხერხდა საქარ-
თელოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სა-
მინისტროს თანადგომით, რისთვისაც მას
მადლობას ვუხდით. დაიბეჭდა ასევე ჩემ მიერ
შედგენილი აფხაზურ-ქართული და ქარ-
თულ-აფხაზური ლექსიკონები. ისინი კახმეგ
კუდავას ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.
ყველა მათგანს უკვე მოჰყვა გამოხმაურება
აფხაზეთში.

- თქვენ რამდენად ახერხებთ თქვენს
აფხაზ კოლეგებთან თანამშრომლობას? შე-
საძლებლად მიგაჩნიათ თუ არა აფხაზი და
ქართველი სტუდენტების გაცვლით პროგ-
რამაზე საუბარი?

- სამწუხაროდ, ძირითადად სოციალური
ქსელების მეშვეობით ვკონტაქტობთ. მე რომ
ჩემს რომელიმე კოლეგას დავურეკო, მას შე-
საძლოა, ამის გამო სერიოზული პრობლემები
შექმნას. თუმცა, სოხუმში არიან მეცნიერე-
ბი, რომლებიც არაფერს უშინდებიან და სო-
ციალური ქსელების, ძირითადად, ფეისბუქის
მეშვეობით გვებმიახლებიან. ანალოგიური კავ-
შირები გვაქვს ასევე თურქეთში, გერმანიასა
და რუსეთში მცხოვრებ აფხაზებთან. ჩვენს
ინსტიტუტს აქვს თავისი ბლოგი, სადაც
ვდებთ აფხაზოლოგიაში შექმნილი ნაშრომე-
ბის გაციფრებულ ვერსიებს. ამას წინათ პეტ-
რე ჭარაიას წიგნი გავავრცელეთ. მას ბევრი
მნახველი აღმოაჩნდა. ფეისბუქშიც გვაქვს
ჩვენი გვერდი, რომელსაც ხუთი ათასი მომხ-
მარებელი ჰყავს, ჩვენი ბლოგის მომხმარე-
ბელთა რიცხვმა კი თერთმეტი ათასს მიაღ-
წია. მომხმარებლები არიან არა მხოლოდ ქარ-
თელები და აფხაზები, არამედ სხვა ქვეყნე-
ბის წარმომადგენლებიც. იგივე მიზეზების
გამო აფხაზი და ქართველი სტუდენტების
გაცვლაზე საუბარიც დღეს არარეალურია.

- თქვენი ინფორმაციით, აფხაზეთში რა
დონეზე მიმდინარეობს აფხაზური ენის
კვლევა?

- იმის თქმა არ შეიძლება, რომ აფხაზეთში
ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. იქ იკვ-
ლევენ აფხაზურ ენას, მაგრამ მათ, ფინანსუ-
რის გარდა, სხვა პრობლემებიც აქვთ: რუსები
და მას დამორჩილებული აფხაზეთის მთავ-
რობა სულაც არ არიან დაინტერესებული,
რომ აფხაზური ენა, კულტურა და იდენტობა
შენარჩუნდეს. აქედან არც მე ვიღებ რამეს,
მაგრამ ეს ჩემი შინაგანი მოთხოვნილებაა, ჩე-
მი საქმეა. სხვა რამეს ხელს ვერც და არც
მოვკიდებ. მეტიც, მე რომ ცხოვრებას ახლა
ვინყებდე, ისევ ამ პროფესიას ავირჩევდი. მი-
ხარია, რომ ჩემი მონაფეებიც ასეთივე გან-
წყობით არიან.

- ისინი წარმოშობით აფხაზეთიდან არი-
ან?

- ინსტიტუტის თანამშრომელთაგან ერ-
თია აფხაზეთიდან, საბაკალავრო პროგრამა-
შიც აფხაზეთიდან ერთი სტუდენტი გვყავს.
დანარჩენები საქართველოს სხვადასხვა
კუთხეებიდან არიან. მეც ქუთაისიდან ვარ და
უნივერსიტეტში სწავლამდე აფხაზეთთან
არანაირი შეხება არ მქონია.

- რეალურად, მართლა არსებობს თუ არა
აფხაზური ენის გაქრობის საფრთხე?

- მთავარი პრობლემა ისაა, რომ იქ აფხა-
ზური ენა სკოლებში არ ისწავლება. ამის შე-
სახებ თავად აფხაზი ავტორებიც წერენ.
სხვათა შორის, ისინი რეჟიმის კრიტიკასაც არ
ერიდებიან და ეს მისასალმებელია. ბოლო
ორი წელია სოციალურ ქსელებში მომრავლ-
და მასალები აფხაზურ ენაზე. მანამდე მხო-
ლოდ რუსულად წერდნენ და ერთმანეთსაც
რუსულად მიმართავდნენ. მთავარი მაინც ის
არის, რომ აფხაზური სკოლა XIX საუკუნის
ცარისტული სკოლის დონეზეა დარჩენილი.
დანყებით კლასებში აფხაზურთან ერთად
გაძლიერებულად ასწავლიან რუსულს, რომ
შემდეგ კლასებში ყველა საგანი რუსულად
ასწავლონ. ეს არის არა აფხაზური, არამედ
რუსული სკოლა, სადაც აფხაზი ბავშვი სამყა-
როს რუსულ ენაზე შეიცნობს. ენა კიდევ ადა-
მიანის იდენტობასა და შეგნებაზე უდიდეს
გავლენას ახდენს. რა ენაზეც აზროვნებ, იმ
ეთნიკური სამყაროს ნაწილი ხდები. რუსუ-
ლად აღზრდილი აფხაზი ბავშვიც რუსული
სამყაროს ნაწილი ხდება. არც მშობელი ცდი-
ლობს აფხაზურ ენაზე შვილის აღზრდას და
ეს მერკანტილური მიზეზებით არის გამოწვე-
ული. ამ ფონზე, ჩვენ ბევრი რამის გაკეთება
შეგვიძლია. ამ ენაზე საერთო ენის გამონახ-
ვასაც უფრო ადვილად შევძლებთ. აფხაზური
ენა არა შემეცნებითი, არამედ სახელმწიფო-
ებრივი მნიშვნელობის საკითხი უნდა გახდეს.

- თქვენი აზრით, რატომ უნდა დაინტე-
რესდეს ახალგაზრდა აფხაზური ენის შეს-
წავლით. ამ სპეციალობის არჩევით რა პერ-
სპექტივა ექნება მას კარიერაში წარმატე-
ბის მისაღწევად?

- აფხაზეთში მცხოვრები აფხაზისათვის
აფხაზური ენის შესწავლა და კვლევა სასი-
ცოცხლო საქმე უნდა იყოს, რადგან ეს არის
მისი დედა ენა. აფხაზ ახალგაზრდებს პატრი-
ოტული მოტივი უნდა ამოძრავებდეთ. გალის
რაიონის ბევრ სკოლაში ისწავლება აფხაზუ-
რი ენა და ეს ჩვენი კონსტიტუციითაც არის
განსაზღვრული. ჩვენს მოქალაქეებს უმაღ-
ლესი საკანონმდებლო აქტი ავალდებულებს,
იცოდნენ მეორე სახელმწიფო ენა. საჯარო
მოხელეები, რომლებიც აფხაზეთის ავტონო-
მიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტუ-
რებში მუშაობენ, ვალდებული არიან, იცოდ-
ნენ აფხაზური ენა ისევე და ისევე კონსტიტუ-
ციიდან გამომდინარე. ვინ უნდა ასწავლოს
მათ ეს ენა? აფხაზური ენის სპეციალისტმა.
ამდენად, ჩვენ ხელისუფლება უნდა გვიკვე-
თავდეს აფხაზური ენის სპეციალისტების
მომზადებას. ეს გაზრდის პრესტიჟს და ინტე-
რესს აფხაზური ენისადმი. ამასთანავე, სა-
ქართველოს პარლამენტი უამრავ კანონს
იღებს. ყველა მათგანი მეორე სახელმწიფო
ენაზეც უნდა ითარგმნებოდეს და აფხაზეთში
თუნდაც ინტერნეტის საშუალებით ვრცელ-
დებოდეს. სამინისტროებსაც მოეთხოვებათ
ნორმატიული აქტების თარგმნა აფხაზურად.
შესაბამისად, ყოველივე ამისთვის უნდა არ-
სებობდეს აფხაზურ ენაზე მთარგმნელთა
ჯგუფი.

ჩვენ ამაყად ვამბობთ, რომ აფხაზური ენა
სახელმწიფო ენაა, მაგრამ ისმის კითხვა - რა
კეთდება იმისთვის, რომ აფხაზური რეალუ-
რად გახდეს სახელმწიფო ენა? აფხაზებს
მარტო ეკონომიკით და ტურიზმით ვერ ვაგრ-
ძნობინებთ, რომ ჩვენ მათთვის მიმზიდველი
ვართ. აფხაზური ენის საკითხი სახელმწიფო
დონეზე უნდა დადგეს და სოხუმის უნივერსი-
ტეტში აფხაზური ენისა და კულტურის ინს-
ტიტუტსაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ქოლა ჟუჟულოძე 90

**ქოლა კუკულოძე -
საქართველოს დამსახ-
ყრებული მხატვარი და
აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის
ხელოვნების დამსახურე-
ბული მოღვაწე, წლების
განმავლობაში - ჯერ
აფხაზეთში, შემდეგ
დევნდობაში -
აფხაზეთის მხატვართა
კავშირის თავმჯდომარე,
წლეულის 90 წლის
გახდებოდა.**

**ფერმწერი, ოფორცისტი,
მოქანდაკე, პლაკატისტი,
ილუსტრატორი, საზოგა-
დო მოღვაწე, ამასთანავე,
ახალგაზრდა მხატვრების
დაყვანილი მასწავლებე-
ლი და კოლეგების
ინცერესების დამცველი
და ქომაგი - მისი შემოქმედ-
ით ყოველი ეპოქით
შეიძლება.**



გზიძეუკი სხივი

სოხუმში, ჭავჭავაძის ქუჩის თავში შერვაშიძეების სახლი იდგა, უფრო ზემოთ, მხარმარჯვნივ, ცნობილი ქართველი მხატვრის, ქოლა კუკულოძის სახლი. კიდეც უფრო მაღლა გალაკტიონ ტაბიძე აშენებდა აგარაკს.


ჩვენ, ახალგაზრდა პოეტები, მხატვრები, მსახიობები ხშირად ვსტუმრობდით ბატონ ქოლას. ახალი ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ, ჩვენებური ნატურმორტი გაშლილი სუფრა გვხვდებოდა. მაგიდას, ნესისამებრ, მენამული ვარდისფერი დოქი ამშვენებდა. მასპინძელს თამადაობა უყვარდა, ოღონდ, წელში გამოყვანილი ღვინის ჭიქებით. თბილი, მომფერებელი კაცი იყო, გვერდში დგომა იცოდა, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მთელი ქალაქი პატივს სცემდა.

პარტიზანი იყო, ბელორუსიის უსიერ ტყეებში იბრძოდა. ლეგენდარული ბელორუსი პარტიზანები ხშირად წერილებს წერდნენ, ეპატიჟებოდნენ, ისიც ყოველ ახალ წელს, 9 მაისს ფრონტელი ძმებისკენ მიიჩქაროდა.

ქოლა კუკულოძის ფუნჯი და გონი სამამული ომის შთამბეჭდავ სურათებს, კომპოზიციებს ქმნიდა. კარგად მახსოვს მისი პერსონალური გამოფენა. ხალხი გაოგნებული იდგა ქოლა კუკულოძის ფერწერული, დრამატული ტილოების წინაშე. რამხელა სევდას, მოგონებას იტევდა თურმე გაურული იუმორით სავსე შემოქმედით! ერთგან ფეხმონყვეტილი ჯარისკაცი შემომყურებდა ნისლიანი თვალებით, მეორეგან - სიკვდილის ველზე გადადიოდნენ ქართველი და ბელორუსი პარტიზანები.

ომი ენით აუნერგელი გამოცდა მოკვდავთათვის. სამწუხაროდ, ბევრი ვერ უძლებს მის სისასტიკეს. ქოლამ გაუძლო, გამარჯვებული დაბრუნდა შინ.

შერვაშიძეების, ემუხვარების, გვათუების შორიხლო კერა გამართა, საღებავის ფერით, სურნელთა გაანათა თავისი სახელოსნო.



ცხოვრებამ თავისი წესით და რიგით იწყო რონინი. ურთიერთობები თითქოს დალაგდა, მაგრამ ისევ ატყდა ქარბუქი, ეშმაკი შეუჩნდა ჭაბუკსა და ასაკოვანს, თოფი გაეარდა. სოხუმში დაეცა... ქალაქს, მთელ აფხაზეთს მუშლივით მოედო ველური. ძველი პარტიზანი უცებ დევნილი გახდა. როგორც ყველა დიდ ქალაქს, არც თბილისს სჯერა ცრემლის და ნალველის, სადარდო და სანუხარი ბევრი ჰქონდა ქართული ფუნჯის ოსტატს. ღამით - სიზმრები არ ასვენებდა, დღისით - დიდი ქალაქის ხმაური.

ერთ დღეს ფეხი დაჰკრა და სოხუმში დაბრუნდა ძველი პარტიზანი. ყველაფერი ისევ ხელუხლებელი იყო, როგორც დატოვა. ენქიდუსავით ექვსი დღე და შვიდი ღამე ეძინა, მერე ყველაფერი აირია... ჯერ სიზმარი ცხადი ეგონა, ხოლო ცხადი - მწარე სიზმარი.

აივანზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშა გამოფინა მტრისა და მოყვარის დასანახად, ძველი მეზობლები უცებ გაუჩინარდნენ... მერე ვილაცები მოვიდნენ შავი სათვალეებით, სადღაც წაიყვანეს... ცოცხალმკვდარი უკან მოაბრუნეს...

და მოკვდა, გაუჩინარდა თავისავე ქალაქში, ვითარცა გრძნეული სხივი ცისა და მიწისა.

სულ რამდენიმე კაცი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე. ერთ-ერთი ჭირისუფალი მისი სიძე იყო, - დიდებული მოქანდაკე სტანისლავ ივანბა.

უფალო, შენი წყალობა მარადიულია, უკვდავყავ სახელი მისი.

ამინ!

სოხუმთან განუპორობადი მხატვარი

მის ცხოვრებაში ორჯერ იყო ომი. პირველად, ახალგაზრდობაში მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა და ამ ფაქტმა მერე მისი ცხოვრების გზაც განსაზღვრა.

მეორედ, სიბერეში ომმა თითქოს მშობლიურ სოხუმში „ჩამოაკითხა“ და ასიათასობით ადამიანთან ერთად, მისი ცხოვრებაც არია.

ჭოლა კუკულაძე ლანჩხუთში დაიბადა და გაიზარდა. მხატვრობით გატაცებული ახალგაზრდა სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებაზე ოცნებობდა, მაგრამ მოულოდნელად ფრონტის ხაზზე, ლატვიაში აღმოჩნდა. ის აქ დაუმეგობრდა ბელორუს ვასილ მაქსიმოვს, რომელსაც ბედმა სეპეჟის ფაშისტთა ბანაკში ტყვედ ყოფნისას ისევ შეახვედრა. მერე სწორედ ამ ბანაკიდან გაიქცნენ ერთად. ვასილმა მძიმედ დაჭრილი ჭოლა კუკულაძე ბელორუსიაში, როსინის რაიონის სოფელ კრასნოპოლიეში თავის მშობლებთან მიიყვანა.

ჭოლა კუკულაძე ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრი გახდა და ჯერ ისევ ჭრილობამოუშემებელი ომის სანინაღმდეგო პლაკატებს, კარიკატურებს, სააგიტაციო ფურცლებს ხატავდა. ამის გამო დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ ისევ გაქცევა მოახერხა და პარტიზანებს შეუერთდა. ის აქ, ბელორუსიის ტყეებში შეტაკებებს შორის შუალედებში რომელიმე ფიჭვის ქვეშ ჩამოჯდებოდა და... ნანახსა და განცდილს შემთხვევით ნაპოვნ ქალაქში თუ უხემ ტილოზე აღებჭდავდა; ბრძოლის ხაზზევე ქმნიდა გვირუკი საომარი ისტორიის ამსახველ ერთგვარ დოკუმენტურ მასალას, რომელთა ნაწილი მან თავად პარტიზანებს უსახსოვრა, ნაწილიც რასსონშიჩინის ტყეში, ერთ-ერთი ფიჭვის ფულუროში გადამალა. წლების შემდეგ, როცა უკვე პროფესიონალი მხატვარი ჭოლა კუკულაძე, როგორც ყოფილი გმირი პარტიზანი, ბელორუსიაში მიიწვიეს, მან უპირველესად ამ ტყეში წაყვანა ითხოვა. აღელვებული მხატვარი დიდ ხანს ეძებდა იმ ფულურო ფიჭვს და მერე მის ფულუროში გადასახულ ნახატებს... ძნელია, სახელი დაარქვა განცდას, როცა აკანკალებულ ხელს მართლა ამოჰყვა ქალაქებისა და ტილოების შეკვრა. მართალია, ბევრ მათგანს ფერი გადასვლოდა და გახუნებულიყო, მაგრამ ბევრიც, უვნებლად გადარჩენოდა თოვლსა და წვიმას. ამ საოცარი რელიკვიის ისტორია აქ არ დასრულებულა, მათმა ნაწილმა ბელორუსიაში დაიდო ბინა, ნაწილმაც სოხუმში. თუმცა ბოლოს ისიც ერთიანად დაიწვა და განადგურდა სხვენში, სადაც ის ჭოლა კუკულაძის შვილმა - ლადომ ომის ქარ-ცეცხლს გაარიდა.

ეს ყველაფერი წლების შემდეგ მოხდა. 1944 წლის ივნისში კი ჭოლა კუკულაძე მოსკოვში, პარტიზანული მოძრაობის ცენტრალურ შტაბში იხმეს და როგორც მამაცი მებრძოლი და მხატვარ-პარტიზანი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად მიაღწინეს.

ახლა ჭოლა კუკულაძის ბავშვობის ოცნება, რომელმაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გაიარა და გადარჩა. სამხატვრო აკადემიაში მას ნამდვილად გაუშარტოდა, აქ მისი პედაგოგები იყვნენ სერგო ქობულაძე, აპოლონ ქუთათელაძე, უჩა ჯაფარიძე.

არც სამხატვრო აკადემიაში სწავლისას და არც მისი წარმატებით დამთავრების შემდეგ სოხუმში საქმიანობისას, ჭოლა კუკულაძეს არასოდეს განელებია ბელორუსიაში ბრძოლის ემოციები. ალბათ, თითზე ჩამოსათვლელნი არიან ადამიანები, რომლებმაც საკუთარ შემოქმედებაში ასე თანმიმდევრულად და ზუსტად, თითქმის ნატურალისტურად აღბეჭდეს საომარი ბატალიები და მეომრების გმირული ისტორიები. თითქოს ისევ ქვემეხების გრუხუნსა და ტყვიების წვიმაში, მხატვარი სახიერად ქმნიდა დამარცხებისა თუ გამარჯვების ისტორიას, რომელიც ასე ძვირფასი იყო ბელორუსი ხალხისთვის. ამიტომაც დაუმაღლეს შემოქმედებითი ღწვაც და ისიც, როცა ბელორუსიაში, საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით, „საბრძოლო დიდების მუზეუმი“ დააფუძნა, რასსონშიჩინის ცენტრში კი გმირი პარტიზანების ძეგლი



დადგა. ესეც „ხალხთა შორის მეგობრობის“ მაგალითი, ოლონდ, არა ყბადაღებული, ყალბი და მოგონილი, არამედ სიყვარულითა და გულის სითბოთი ნაკარნახევი, რასაცსიყვარულითა და სითბოთივე პასუხობდნენ. ჭოლა კუკულაძე ბელორუსიაში მუდამ სასურველი სტუმარი იყო, რისი დასტურიცაა ბელორუსიის მთავრობის არაერთი ჯილდო; მისი პარტიზანული გმირობისა თუ მოქალაქეობრივი პოზიციის ამსახველი „ბელორუსიელის“ მიერ სოხუმში გადაღებული დოკუმენტური ფილმი და ბელორუსი მწერლის კ. არპიუსის დაწერილი ნივნი.

ჭოლა კუკულაძე წლების განმავლობაში ჯერ სოხუმის მთავარი მხატვარი, შემდეგ აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარეა და მისთვის ჩვეული თავდადებით იღვინის. სხვა ფერწერულ ტილოებთან ერთად, თანაბარი სითბოთი ქმნის ქართული და აფხაზი პოეტებისა და მწერლების: გიორგი ლენინის, დიმიტრი გულიას, კონსტანტინე

გამსახურდიას, ნესტორ ლაკობას, გალაკტიონ ტაბიძის, შოთა რუსთაველის, იაკობ გოგებულის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა პორტრეტებს; მხატვრულად აფორმებს მათ ნიგნებს, საბავშვო კრებულებს. მხატვარ შურა ვერულიშვილთან ერთად თეატრალური ესკიზებით ამშვენებს სოხუმის თეატრის სპექტაკლებს. აქანდაკებს ცნობილი ადამიანების ძეგლებს, რომლებიც დღემდე დგას ბელორუსიასა და საქართველოში.

მისი ნამუშევრები არაერთხელ გამოიფინა თბილისში, მოსკოვში, კიევში, მინსკში, სანკტ-პეტერბურგში, პრაღაში. ამასთანავე, მათი ნაწილი დაცულია მოსკოვის, მინსკის, სანკტ-პეტერბურგის, შვეიცარიისა და გერმანიის კერძო კოლექციებში.

სიმშვიდე სუფევდა ჭოლა კუკულაძის ოჯახშიც. მას და მის მეუღლეს - ნათელა ჩაგინავას უკვე შეეძლოთ ბედნიერად ეცხოვრათ: მათი ვაჟი - ლადო სოხუმში სახელიანი ექიმი იყო (მან სწორედ ბელორუსიაში დაამ-

თავრა სამედიცინო ინსტიტუტი), ქალიშვილი - ნანა მუსიკოსი. ორივენი დაოჯახებულნი იყვნენ და შვილებიც ჰყავდათ.

ბედმა სწორედ ამ დროს იმუხთოლა, აფხაზეთში ომი დაიწყო. 70 წელს მიტანებული მხატვარი ომის დაწყების პირველსავე დღეებში ერთ-ერთი საარმიო ბრიგადის მეთაურთან გენო ადამიასთან მივიდა, თავისი პარტიზანული ბიოგრაფია უამბო და მოხალისედ ჩაწერა სთხოვა. ბუნებრივია, გულს ვერ დაწყევტდნენ, ამიტომაც ერთი-ორჯერ ფრონტის ხაზზეც მიაღწინეს, ოლონდ, საომრად არა, საიმისოდ, რომ ისევ საბრძოლო ბატალიები და მეომრები აღებეჭდა ტილოზე.

„სახიერი მემატინე“ ახლა უკვე ცხოვრებაში მეორედ ეთქმოდა. მეომრული სული, პატრიოტული სულისკვეთება, გამარჯვების ჟინი... კიდევ ბევრი რამის გადმოცემას და სხვისთვის გაზიარებას ცდილობდა მრავლის მნახველი და მომსწრე მხატვარი.

სამწუხაროდ, ბრძოლა (და არა ომი) წავაგეთ და ჭოლა კუკულაძემაც სოხუმიდან გემით გამოსასწრო ქალაქში ჩამომდგარ სიკვდილს. თუმცა, მისი სხეული იჯდა იმ გემში, თორემ სული, სიცოცხლესავით ძვირფას შემოქმედებასთან ერთად, იქ დარჩენოდა, საყვარელ ქალაქში, რომელიც მის მეუღლეს - ქალბატონ ნათელა ჩაგინავას ვერაფრით დაატოვებინეს.

სამშობლოდან გამოდევნილი ადამიანების სევდითა და დარდით დამძიმებულ გემს თითქოს სამშვიდობოზე გამოჰყავდა ჭოლა კუკულაძეც...

მხატვარი თბილისში გულთბილად მიიღეს, გამოუძებნეს ბინაც, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო. მეგობრები, მეზობლები, ნათესავები იკრიბებოდნენ, სოხუმურ ამბებს იგონებდნენ და დარდს იქარვებდნენ. მალე მოსკოვს შეხიზნული ლადოც ოჯახთან ერთად თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად (ის ომის დროს სოხუმში, სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა და ბევრი ქართველი და აფხაზი ჰყავს გადარჩენილი) და მამაც თავისთან გადაიყვანა. მხატვარს სიბო და მზრუნველობა არ აკლდა, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა, ათწლეულობით შექმნილი სამყაროს დანგრევით შექმნილ სიცარიელეს ვერაფრით იცვებდა.

და... ერთ დღესაც სახლიდან წავიდა, თბილისის ქუჩებში დახეტიალობდა და თითქოს საკუთარ ქუჩას, სახლს ეძებდა.

ფორიაქი თანდათან უფრო მეტად იზყრობდა. სოხუმში დარჩენილმა ქალბატონმა ნათელამ თბილისში ჩამოსვლა და მეუღლის შინ წაყვანა გადაწყვიტა, იქნებ, მშობლიურ სახლში უკეთ იგრძნოს თავიო. თან ჭოლა კუკულაძის რამდენიმე გადარჩენილი ნამუშევარი, მათ შორის „გალაკტიონი და ზღვა“ გამოიყოლა. მერე, სხვებთან ერთად, არც ამ ნახატს ატანდნენ თურმე ენგურის ხიდთან. სურათზე ზუგდიდში მცხოვრები ბაბუაჩემია გამოსახული და მასთან მიმაქვსო, - უთქვამს ბოლოს ქალბატონ ნათელას და, საბედნიეროდ, დაუჯერებიათ.

...სოხუმში დაბრუნებული ჭოლა კუკულაძე მშობლიურმა ქალაქმა და სახლმა, სახელოსნომ და მისთვის ძვირფასმა ნამუშევრებმა ერთ ხანს მართლაც დაამშვიდა. ისეთი განცდა დაეუფლა, რომ თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად გრძელდებოდა. თუმცა, იქაურობა ილუზიაში ყოფნის „ფუფუნებას“ დიდ ხანს არავის ანებებდა. მით უმეტეს, არ დაანება ემოციებით გადაქანცულ ორომგამოვლილ მხატვარს. ანტიქართული გადაცემებიც საშინლად აღიზიანებდა. ერთ დღესაც, მეტს ვეღარ გაუძლო და... ქუჩაში საქართველოს დროშით ხელში გავიდა. ეს ამბავი, ცხადია, სოხუმში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მოვიდნენ, დაკითხეს ხან რბილად, ხანაც დაჟინებით, მაგრამ ბოლოს რაღა ეთქმოდათ, - მე ხომ თბილისში ვარო, - ამტკიცებდა მხატვარი.

არადა, ვინ იცის, იქნებ, სწორედ მაშინ და სწორედ მან უწყოდა ყველაზე უკეთ, სადაც იყო და რასაც იქმოდა.

ნატო კორსანტია

P.S. ჭოლა კუკულაძე 1998 წელს სოხუმში გარდაიცვალა. ამ მხრივ მაინც გაუღიმა ბედმა. ის დღეს სოხუმის მიწაზე განისვენებს და მის საფლავს მეუღლე და ქალიშვილი (აფხაზების რძალი) უვლიან იმ იმედით, რომ მალე ლადო და მისი ოჯახიც შემოუერთდებიან.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (ესკიზი)

მეგობრობის ნიჭით მოსილი

ჩემთვის რომ ეკითხათ, ჭოლა ვლადიმერის ძე კუკულაძის ხასიათის რა თვისებას გამოყოფდით, მეგობრობის ნიჭს-მეტეხი, ვუპასუხებდი. იგი იოლად პოულობდა გზას ადამიანის გულისაკენ, თუნდაც იგი მისი ახლო ნაცნობი არ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ იყო, რომ თანამოსაუბრე უნიჭიერესი მხატვარი იყო, არამედ ის, რომ მისთვის უშუალოდ და თავისუფლად გულის გადაშლა შეეძლო. ამ შეგრძნებას მის მიერ შენდამი გამოხატული ინტერესი, სიმპათია და ნდობა იწვევდა.

უმდიდრესი სულიერი გამოცდილება აძლევდა ჭოლა ვლადიმერის ძე კუკულაძეს უფლებას, ცხოვრებისეული კიბის მაღალ საფეხურზე მდგარიყო და, როგორც ხელოვნებაში,

ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითის მიმცემი ყოფილიყო.

ექვგვარშეა, მას ცხოვრების იოლი გზა არ გაუვლია. გავიხსენებდი წლებს, ბელორუსიის ტყეებში გატარებულს, როდესაც იგი, სულ ახალგაზრდა, პარტიზანული იატაკქვეშეთის ძალზე სახიფათო დავალებებს ასრულებდა, რითაც განთავისუფლების დღეს აახლოებდა. ბატონი ჭოლა მტკიცედ იცავდა საბრძოლო ტრადიციებისადმი და თავისი მეგობარი პარტიზანებისადმი ერთგულებას, ისინი კი, თავის მხრივ, ხსოვნითა და სიყვარულით პასუხობდნენ.

ყველამ, ვისაც შეხება ჰქონია, ან თუნდაც დაკვირვებია შემოქმედის ცხოვრებას, იცის, რომ მისი წარმატება ათასგვარ ძალისხმევას უკავშირდება. ყველას როდი ხელენიფება, მი-

აღწიოს სიმართლეს, გულწრფელობას ხელოვნებაში. სწორედ ამ მცირედთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ჭოლა ვლადიმერის ძე კუკულაძე. იგი აფხაზეთის მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობდა, კავშირს, რომელიც ამ მხარეში ხელოვნების ამ დარგის განვითარებას ხელს აშველებდა. იმ წარმატებებში კი, რომელიც თან ახლდა და ახლაც შეინიშნება აფხაზეთის მხატვართა შემოქმედებაში, უეჭველია, ლომის წილი მის შრომასა და მზრუნველობას ეკუთვნის.

ჭოლა კუკულაძის შემოქმედების თემები და სახეები მრავალფეროვანია. ყველაზე ხშირად იგი, მისთვის ჩვეული ლირიზმითა და შინაგანი სიღრმეების წვდომით, თავის მშობლიურ მხარეს, ბუნებასა და ადამიანებს ასახავ-

და. სწორედ ამიტომ სამუდამოდ დაიმკვიდრა მნიშვნელოვანი ადგილი იმ საოცარი მხარის, აფხაზეთის ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატებს შორის.

კიდევ ერთი შტრიხი პორტრეტისათვის: როდესაც მამაჩემი გარდაიცვალა, ჭოლამ მისი პორტრეტი შექმნა და გამოგვიგზავნა. ამგვარ საქციელში იკითხება სწორედ მხატვრის შინაგანი ბუნება, მისი მზადყოფნა, გაიზიაროს მეგობრის მწუხარება, გამოხატოს თანაგრძნობა და დაეხმაროს, როგორც შეუძლია. ეს კი დავიწყებას ვერასოდეს მიეცემა.

სვეტლანა ქეცბა,
ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე.



ჩემი დიდი ბაბუა

სათაური უკვე პრეტენზიულია. რატომ ჩემი, როდესაც ბაბუაჩემი ჭოლა კუკულაძე და მისი შემოქმედება მთელ აფხაზეთს, მთელ საქართველოს ეკუთვნის. რა ვქნა, მე მაინც ჩემად მეგულება, მიუხედავად იმისა, რომ სამწუხაროდ, ბედმა მასთან დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთის გატარება მარგუნა. მამამ თბილისში ჩვენი ბინა რომ გარემონტა, კედლის დიდი ნაწილი დაუთმო ჩარჩოს, რომელზეც ბაბუას ნახატები განვალაგეთ და ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მთელი ბინა ბაბუას ემოციებით არის სავსე. ყველა ნახატი შექმნილია სტილით, რომლის მიღმა მისი სულის გაცხადებასაც ვხედავ.

ჩემი ცხოვრება თავიდანვე კულტურას დაუკავშირდა: ბავშვობაში ბაღეცის სკოლაში დავდიოდი, შემდეგ სორონის უნივერსიტეტში ჩავირიცხე და გარკვეული პერიოდი ხელოვნებისმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. საბედნიეროდ, ამან ხელოვნების აღქმის უნარი გამიფაჩიზა. როდესაც ამ თვალთ ვუყურებ ბაბუას სურათებს, დიდი სიამაყითა და სიყვარულით მახსენდება იგი: საშუალო სიმაღლის ღიმილიანი კაცი, იუმორის გრძნობით აღსავსე, კაცთმოყვარე და უკეთილშობილესი ადამიანი. მას უამრავი მეგობარი ჰყავდა ყველგან, ყველა ქვეყანაში. კომუნიკაბელურობა თითქოს მისი მეორე "პროფესია" იყო. შეიძლება ითქვას, რომ ის ჰგავდა რომელიმე, ჯერ კიდევ გადასაღები ფილმის


პერსონაჟს: თავისუფლების უდიდესი ხარისხით, საოცარი უბრალოებით, ჩარჩოებიდან ამოვარდნილი თავისებური ჩაცმის სტილით, ყოველგვარ ფორმალურობას მოკლებული ადამიანური ურთიერთობით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით, ქველმოქმედებითა და შემწყნარებლობით. სამწუხაროდ, ომმა ბაბუასთან ერთად დიდ ხანს ყოფნა არ დაგვაცალა. ამიტომაც დღეს მასთან გატარებული ყოველი წუთი მეძვირფასება. ერთხელ სოხუმიდან სადღაც გავემგზავრეთ. გზად, კელასურთან, იქ, სადაც პანო იდგა, მანქანა გაგვჩერებინა. პანოზე გამოსახული იყო პატარა მტირალა გოგონა, იქვე ჯარისკაცს მიხაკზე ჩექმა დაეხეებინა. პლაკატზე მიგვითითა და გვითხრა, რომ ყველა ომი ადამიანების უგუნურების შედეგია და, რომ ხელოვნება გადაარჩენს ადამიანის სულს, გააკეთილშობილებს, აამაღლებს და მერე არასოდეს ექნება მას ბოროტი ზრახვები. ამ სიტყვებს დღეს განსაკუთრებულად ვაფასებ, მართლაც, როგორ ზუსტად არის ნათქვამი.

ბაბუა დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა. ის ბელორუსიის პარტიზანული მოძრაობის გმირი იყო და უამრავი ჯილდო აქვს მიღებული. მას ბელორუსიაში დღესაც უდიდესი პატივისცემით იხსენებენ, მაგრამ განსაკუთრებულად მისი აფხაზეთის ომში მოხალისედ ჩარიცხვა მეამაყება: სამოცდაათი წლის ადამიანი რომ მზად იყო ქვე-

ნის დასაცავად - ეს, ალბათ, სულ სხვაგვარი ხასიათისა და განსაკუთრებული ბუნების დასტურია. ომზე გამიგრძელდა ლაპარაკი. ბაბუა რომ მისმენდეს, ალბათ, არ ესიამოვნებოდა, რადგან ის ომის კი არა, მშვიდობისა და სიყვარულის კაცი იყო და რატომღაც მჯერა, დღეს რომ ცოცხალი იყოს, უდიდეს წვლილს შეიტანდა ქართველებისა და აფხაზების შერიგების და მათ შორის მეგობრობის განმტკიცებაში. მინდა, რომ ბაბუას ნამუშევრები ბევრმა ხელოვნების მოყვარულმა ნახოს და შეაფასოს მხატვარი, რომლის ნიჭი უნიკალურად მრავალფეროვანია: ფერწერა, გრაფიკა, აკვარელი, ქედურობა, ქანდაკება, ოფორტი... თითოეულ ნამუშევარში ოპტიმიზმი და სილამაზეა, თითქოს მელოდიის ფრაგმენტი, მუსიკალური ფრაზა ტილოზე შეჩერებული. სამწუხაროა, რომ ომის გამო ბაბუას ნამუშევრები დაიფანტა, ბევრი მათგანი სოხუმის მუზეუმში დარჩა, ბევრიც უცხოელებს ჩაუვარდა ხელში და კერძო კოლექციებში ინახება. ჩვენ მხოლოდ მათი მცირე ნაწილი შევინარჩუნეთ და ისიც დიდი ძალისხმევით. ეს ნამუშევრები ჩვენი ოჯახის უდიდესი რელიკვიაა.

წლეულს ბაბუას 90 წელი შეუსრულდებოდა. ჩვენი ოჯახი სამართლიანად ვამაყობთ მისი ხსოვნით და ეს ხსოვნა უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს მეც. ნათელში იყოს მისი ძვირფასი სული.

ია კუკულაძე



გალაკტიონი და ზღვა

თავის დროზე გალაკტიონს სოხუმში, რომელიც პირველი ჩასვლისთანავე ძალიან შეუყვარდა და რატომღაც ძალიან ემშობლიურა, სახლის აშენება გადაუწყვეტია. ერთხელ ამ საქმეში დახმარება ჭოლა კუკულაძისთვისაც უთხოვია. მხატვარი თანადგომას შეპირებია. იმ დღეს კი დიდი პოეტი რესტორანში დაუპატიჟებია. შემოქმედნი მოლხენის შემდეგ ზღვას ხლებიან. გალაკტიონს თავისი უსაყვარლესი სტიქიის წინაშე ამჯერადაც მოუყრია მუხლი და წყალში ჩაჩოქილ მისთვის ლექსები მიუძღვნია. ამ ეპიზოდს ჭოლა კუკულაძეზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და წლების შემდეგ ტილოზე აღუბეჭდავს. ნახატის ორიგინალი სოხუმის თეატრს ამშვენებდა და დღემდე იქ არის. მოგვიანებით მხატვარს შეუქმნია მისი ასლიც, რომელიც დღეს თბილისში ლადო კუკულაძის იჯახის უდიდესი რელიკვიაა.

გალაკტიონმა ზღვა თავის სტიქიად შეიმეცნა და დასახა. ის ზღვასავით ვერცნობდა საზღვრებს. ზღვა თვით გალაკტიონში ბორცავდა თითქოს, მასში ლეღავდა, შფოთავდა, იმღვრეოდა... და ხშირად ვერ ეტეოდა, ნაპირებს გადმოდიოდა. მაშინ პოეტი მიიჩქაროდა, მისი წრაფვოდა ზღვისკენ - ხან მანქანით, ხან თვითმფრინავით, ხან მატარებლით, ხანაც გემით... ჭოლა კუკულაძის სურათზეც თითქოს ეს მისტერიაა აღბეჭდილი - გალაკტიონი ზღვის ტალღებში გახვეული და ზღვასთან შერწყმული, ამავე დროს პოეზიის ზღაპრული ფერებით გასხივოსნებული.

ნატო კორსანტია



წერილებს თან ერთვის ჭოლა კუკულაძის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები

ბედია - საქართველოს ერთიანობის სიმბოლო

ბაჰან ხორავა

X-XI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ორი უმნიშვნელოვანესი ტაძარი აიგო, ერთი ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრში ბედიამი, მეორე - სამეფოს დედაქალაქში ქუთაისში. ორივე ტაძარი ერთიანი საქართველოს სამეფოს სიმბოლოდ იქცა.


X საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართული მინა-წყლის გაერთიანების გზაზე ახალი ეტაპი დაიწყო. "აფხაზთა" მეფის გიორგი II-ის (922-957) შვილიშვილი, "აფხაზთა" მეფის, უსინათლო და უშვილო თეოდოსის (975-978) დისწული და ტახტის მემკვიდრე ბაგრატ ბაგრატიონი 978 წელს ქუთაისში "აფხაზთა" მეფედ ეკურთხა. ბაგრატ ბაგრატიონი იმავდროულად "ქართველთა სამეფოს" ტახტის მემკვიდრე და იმიერ ტაოს მეფის დავით III კურაპალატის შვილობილი და მისი მემკვიდრეც იყო. ამდენად, საქართველოს გაერთიანების პროცესი შეუქცევადი გახდა.

999 წელს, "აფხაზთა" მეფემ, შემდეგში საქართველოს ერთიანი მონარქიის პირველმა მეფემ, ბაგრატ III-მ (978-1014) ბედიამი ღვთისმშობლის ტაძარი ააგო. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით ბედია მიიჩნეოდა ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად. მემატიანე წერს: "ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლეთ მთა მცირე, რომელსა ან ჰქვიან ლიხი; დასავლეთ ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. ან მას ადგილსა ჰქვიან ბედია". მიუხედავად იმისა, რომ "აფხაზთა" მეფეებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შექმნაში, მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ცნობიერებაში ეგროსი და ქუჯი დასავლურ-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ფუძემდებლად, ხოლო "აფხაზთა" მეფეები ამ სამყაროს მემკვიდრის როლში მოიაზრებოდნენ.

ბედია "აფხაზთა" სამეფოს ერთ-ერთი პოლიტიკური ცენტრი იყო, ოდიშის საერისთავოს ადმინისტრაციული ცენტრი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბაგრატ III-მ ის თავის ერთ-ერთ რეზიდენციად აქცია. 1001 წელს ბაგრატ მეფემ კურაპალატის ტიტული მიიღო, რაც ქართულ პოლიტიკურ სამყაროში მის უღავეო პირველობას ნიშნავდა. მამის, გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1008 წელს "აფხაზთა" მეფე და კურაპალატი "ქართველთა" მეფეც გახდა. საქართველოს გაერთიანება, პირველ რიგში, სწორედ ორი სამეფო ტახტის - "აფხაზთა" ანუ დასავლურ-ქართული და "ქართველთა" - შერწყმას ნიშნავდა. გაერთიანების გზაზე მდგარ სახელმწიფოს მისი ძლიერებისა და სიდიდის გამომხატველი სიმბოლოები ესაჭიროებოდა. ასეთ სიმბოლოებად მოეწოდნა ქვეყანას ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ორი უბრწყინვალესი ძეგლი - ბედიის ტაძარი, და 1003 წელს სახელმწიფოს დედაქალაქში ქუთაისში აგებული ღვთისმშობლის ტაძარი. ორივე ძეგლი თანამედროვეებს ახალი საქართველოსა და მისი ხელმწიფის სიძლიერისა და სიდიადის განსახიერებად წარმოედგინათ.

ბედიის ტაძარი და მისი სამონასტრო კომპლექსი აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფ. აგუშბღიაში მდებარეობს. მას უჭირავს მთისწინა მიწები, საიდანაც თვალწარმტაცი ხედი იშლება, ერთი მხრივ, კოდორის ქედსა და ოქუშისწყლის ხეობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, შავ ზღვასა და ზღვისპირა ვაკეზე.

სამონასტრო კომპლექსის ცენტრში ღვთისმშობლის სახელზე აგებული ჯვარედუმბათოვანი ტაძარია. იგი გვეგვით წაგრძელებული სწორკუთხედია სამი შესასვლელითა და ვიწრო გვერდის ნაგებით. გუმბათი ორ ბურჯსა და საკუთრხეველის კედლების კუთხეებს ეყრდნობა. ფასადები თლილი კვამაქვითა მოპირკეთებული. სამუხაროედ, ტაძარს პირვანდელი სახით არ მოუღწევია. ახლანდელი ნაგებობა XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენის - X-XI სს, XIII-XIV სს, XVI-XVII სს. - მონატულობის ფრაგმენტები. ტაძრის სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოსახულია ქტიტორი ბაგრატ III ეკლესიის მოდელით ხელში.



ბედიის ტაძარი

სამონასტრო კომპლექსში, ღვთისმშობლის ტაძრის გარდა, შედის საკმაოდ დიდი, ორსართულიანი სასახლის - სამღვდელმთავრო "პალატის", სამრეკლო-კარიბჭის და დამხმარე ნაგებობათა ნაშთები.

"მატიანე ქართლისას" ცნობით, ბაგრატ მეფემ "აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ... შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ხევთა და ადგილთა, განასრულა ყოველითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი".

"მატიანე ქართლისას" ავტორი ბაგრატ III-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დახასიათებისას აღნიშნავს: "უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა". იმავეს იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილი: "აღაშენა... მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდშუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად. ამისთვის წეროილ არს: ვისაც გენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ მეფისა, განიხილე ბედიის ეკლესია და მითი სცნობ".

უნიკალური შემთხვევაა, როდესაც მემატიანე მეფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და მისი სიდიადის წარმოსაჩენად მკითხველს მოუწოდებს, იხილოს მის მიერ აგებული ტაძარი და მისი "სამკაული". ბაგრატ III-ის მიერ ბედიის ტაძრისათვის შეწირული უმთავრესი "სამკაული" იყო ოქროს ბარძიმი, ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც ტაძრის კურთხევის დროისათვის (999 წ.) დამზადდა, როგორც უმნიშვნელოვანესი სარწმუნოებრივი რელიკვია.

ბედიის ბარძიმი არის მასიური მრგვალი ფორმის ბაჯაღლო ოქროს თასი (სიმაღლე - 12,5 სმ, დიამეტრი - 14 სმ, წონა - 752 გ.). ამჟამად პირვანდელი სახით შემონახულია მხოლოდ მისი ზედა ნაწილი, ხოლო ფეხი დაკარგულია. ბარძიმის გარე ზედაპირი სვეტებზე დაყრდნობილი თაღებით 12 არედაა დაყოფილი. ერთ მხარეს გამოსახულია ტახტზე მჯდომი მაცხოვარი, მის საპირისპირო მხარეს - ღვთისმშობელი ყრმით, ხოლო თაღებქვეშ - წმინდანთა გამოსახულებები. ბარძიმის ზედა ნაწილში ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომლის თანახმადაც იგი ბაგრატ მეფეს და მის დედას გურანდუხტ დედოფალს მათ მიერვე აშენებული ბედიის ტაძრისათვის შეუწირავთ: "წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ყვავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხეველისა შემამკობელთა და ამის წმინდისა საყდრისა აღმაშენებელთა, ამინ".

ბედიის ტაძრის უმთავრეს სარწმუნოებრივ რელიკვიებს წარმოადგენდა ასევე ბიზანტიიდან ჩამოსვენებული ვლადქრნის ღვთისმშობის ხატი და ღვთისმშობლის სარტყელი.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ



ბაგრატ III-ის ფრესკა ბედიის ტაძარში

ბედიის ტაძარში დაკრძალულია საქართველოს ერთიანი მონარქიის პირველი მეფე ბაგრატ III (978-1014). მეფე ტაოში, ფანასკერტის ციხეში გარდაიცვალა 1014 წლის 7 მაისს და ბედიამი გადმოასვენეს. ამ ფაქტმა განსაზღვრა შემდგომში ბედიის ტაძრისა და ბედიელი მღვდელმთავრის როლი და მნიშვნელობა ქვეყანაში. "ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, ბედიელი სამეფო საფლავის მფარველი იყო, რაც საპატიო მოვალეობას წარმოადგენდა.

ბედია მნიშვნელოვანი საეკლესიო და კულტურის ცენტრი იყო. ბედიის ეპარქიის მღვდელმთავარი ბედიელის სახელითაა ცნობილი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბედიელთა სამწყსოს შეადგენდა ტერიტორია მდ. მოქვისწყალსა და მდ. დადისწყალს (ოქუმისწყალი) შორის.

ბედიელები დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის სასულიერო და კულტურულ ცხოვრებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ბედიელი მღვდელმთავარი მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებს ასრულებდა. 1124 წლის შემოდგომაზე, როდესაც დავით აღმაშენებელმა შირვანი აიღო, შირვანის საქმეთა გამგებლად სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი დატოვა.

ბედიელები ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებდნენ სინის მთისა და იერუსალიმის ქართულ სავანეებს, რის გამოც მიქაელ გონგლიბაისძე ბედიელის (XIII ს. II ნახ), ნიკოლოზ გონგლიბაისძე ბედიელის (მემდევმი აფხაზეთის კათალიკოსი), ლაზარე ბედიელის (XIV ს.), მარკოზ ბედიელის (XIV-XV სს.), მელქისედეკ ბედიელის (XV ს. I ნახ.) მოსახსენებლები ამ სავანეების სულთა მატიანებში შეიტანეს.

XIII-XIV სს. სოფრონ ბედიელმა (გონგლიბაისძე) და ნიკოლოზ აფხაზეთის კათალიკოსმა (გონგლიბაისძე) ბედიის

ტაძრის სამრეკლო ააშენეს. იმავდროულად, ტაძარი კაპიტალურად განაახლეს: ხელახლა მოაპირკეთეს და შეამკეს ფასადები, განახლდა ტაძრის გუმბათი და დაზიანებული ფრესკული მხატვრობა.

XVI საუკუნეში ბედიამი დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა მიმდინარეობს: ტაძრის განახლება, მისი ხელახალი მოხატვა და ძველი მხატვრობის გაცხოველება. ბედიელი ანტონ ჟვანიძის დაკვეთით აიგო მღვდელმთავართა სასახლე - "პალატი" (XVI ს. I ნახ.); ბედიელი გერმანე ჩხეტიძის (XVI ს. II ნახ.) დაკვეთით მოიჭედა ვლადქრნის ღვთისმშობლის ხატი, განახლდა ბედიის ბარძიმის ფეხი, გადაინერა ბედიის გულანი.

გულანი ორიგინალური ქართული საეკლესიო კრებულია, რომელიც არც ერთ სხვა ეკლესიას არა აქვს. მასში ჩვეულებრივ თავმოყრილია საღვთისმსახურო წიგნები: სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლენი, თორმეტივე თვის საგალობლები, მარხვანი, ზატყკნი, ფსალმუნნი, სვინაქსარი, ტიბიკონი, მოკლე პაგიოგრაფიული საკითხავები და სხვ. გულანი უზარმაზარი კრებულია, რომლის შეძენა და დამზადება მხოლოდ მდიდარ ეკლესია-მონასტრებს შეეძლოთ. ბედიელ გერმანეს გულანის გადასანერად შავშეთიდან მოუწვევია კალიგრაფი გაბრიელ ლომსანიძე. გულანის გადაწერაში აგრეთვე მონაწილეობდნენ კალიგრაფები: ამბროსე კარგარეთელი და სვიმონ შავშეთელი, იგივე სვიმეონ გიორგის ძე.

ამდენად, ბედიამი არსებობდა სკრიპტორიუმი, სადაც ხელნაწერების გადაწერა, მორთვა-მოკაზმვა მიმდინარეობდა.

1639-1640 წწ. ოდიშის სამთავროში იმყოფებოდნენ რუსეთის მეფის მიხეილ ომანოვის (1613-1645) დესპანები: დიაკი ფ. ელჩინი და მღვდელი პ. ზახარიევი. 1640 წლის თებერვალში მათ ბედია მოი-

ნახულეს. რუსი დესპანების ცნობით, ბედიის ტაძარში ინახებოდა მაცხოვრის ეკლის გვირგვინი; სამსჭვალი, რომლითაც მაცხოვარი ჯვარს აცვეს; ბანარი, რომლითაც მაცხოვარი ჯვარცმის წინ შეკრეს; აგრეთვე მაცხოვრის თმა და წვერი. მათი ცნობით, ეს სინმიდევბი მთავრის ბეჭდით დაბეჭდილი ინახებოდა და მისი ნებართვის გარეშე არავის უჩვენებდნენ. მოგვიანებით, იტალიელი მისიონერი ჟოზე მარია ძამპი, რომელიც XVII ს. 70-იან წლებში იმყოფებოდა ოდიშის სამთავროში, აღნიშნავს, რომ ბედიამი ინახებოდა ძელი ჭეშმარიტის ნაწილი, მაცხოვრის წვერი, ბანარი, რომლითაც იგი შეკრეს ჯვარცმის წინ და ტილონი, რომელშიც ღვთისმშობელი ჩვილ იესოს ახევდა. ამრიგად, ბედიის ტაძარი ქრისტიანული რელიკვიებით მდიდარი ყოფილა.

ბედიის კათედრაზე მცირე ხანს მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი ნიკიფორე (ერისკაცობაში ნიკოლოზ) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც 1757-1758 წწ. მოინახულა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, წერდა: "ჯვრის მონასტერში ხატია... ბედიელი და ჯვარის მამა ნიკიფორე".

ნიკიფორე ჩოლოყაშვილი კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის კარის მოძღვარი იყო, შემდეგ მცხეთისა და მეტეხის ეკლესიების წინამძღვარი, კახეთის მოძღვართ-მოძღვარი; 17 წლის განმავლობაში ასრულებდა თეიმურაზ I-ის ელჩის მოვალეობას. 1632 წლიდან იგი დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა. 1643-1649 წწ. იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, ჯვარისმამა. 1643 წელს მისი ხელმძღვანელობითა და ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) სახსრებით განახლდა და მოიხატა ჯვრის მონასტერი. სწორედ მაშინდელია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ფრესკა ჯვრის მონასტერში.

XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან ოდიშის სამთავროს მძიმე დრო დაუდგა. იქ სრული ანარქია სუფევდა. ამას ერთვოდა აფხაზთა გამუდმებული თავდასხმები. თუკი XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი - ტერიტორია "ანაკოფიის მდინარესა" (მდ. ფსირცხა) და მდ. კელასურს შორის, ახლა ისინი იწყებენ ბრძოლას მდ. კელასურის აღმოსავლეთი მინა-წყლის მისატაცებლად. ამ ამბების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან". იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707) გულისტკივლით აღნიშნავდა, რომ აფხაზებმა გაანადგურეს დადიანის სამფლობელო, "აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქეი, ხოფი, ქაჩიჩი, ზუგ-დინი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე" (სოხუმიდან ცხენისწყალამდე და რიონამდე, - ავტ.), ამასთან, "დადიანი ისეთი უშწეო იყო, რომ ძალა არ შესწევდა, გაერეკა აფხაზები". ცხადია, ამ დროს ბედიის ეპარქია მძიმე დღეში იყო.

ამ პერიოდში, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან უსაფრთხო ადგილას, ოდიშის შიდა რაიონებში გადაჰქონდათ საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები, საეკლესიო ინვენტარი. ამ დროს გადმოუსვენებათ ვლადქრნის ღვთისმშობლის ხატი ბედიიდან მარტვილში, ბედიის გულანი და სხვა საეკლესიო სინმიდევბი.

1681 წელს აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ლალიძგამდე. ამ ტერიტორიაზე შეუძლელი გახდა ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება, რის გამოც დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები გაუქმდა. შგოთიანმა, მძიმე დრომ თავისი დალი დაამჩნია ბედიის ეპარქიასაც, დაიწყო მისი დაკნინება. XVIII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს აფხაზთა ექსპანსიის შედეგად ბედიის კათედრაც დაცარიელდა და მოიშალა.

საქართველოს ერთიანობის სიმბოლო - ბედიის ტაძარი მდუმარედ ელოდება ქართველთა და აფხაზებს, "აფხაზთა და ქართველთა მეფის" ბაგრატ III-ის საფლავზე ქვეყნის ერთიანობისათვის მლოცველებს...

გელა ჩქვანავა:

ჩემთვის ორი მაგიური სიტყვა არსებობს - "სოხუმი", "ძიძარია"

ქუჩა, სადაც სოხუმში ვცხოვრობდი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ "ეპლიტფოზე" პერიოდულად ლიტერატურული ინტერვიუები და პრესკონფერენციები იმართება. "ეპლიტფომ" უკვე არაერთ მწერალს უმასპინძლა. მათ შორის იყვნენ აფხაზეთიდან დევნილი მწერლებიც, რომლებთან საუბრების რამდენიმე საგაზეთო ვერსიაც, შეპირები-სამებრ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც შემოგთავაზეთ.

ამჯერად წარმოგიდგენთ გიორგი კილაძის ინტერვიუს სოხუმელ მწერალ გელა ჩქვანავასთან.

- გელა, შენი ლიტერატურული და არა მარტო

ლიტერატურული CV.

- დავიბადე 1967 წელს, დავამთავრე სოხუმის ა. მ. ჭოჭუას სახ. მე-17 საშ. სკოლა (სწორედ ასე, შემოკლებულ ვარიანტში წარმოვთქვამდი - "ა. მ. ჭოჭუას სახ." და "საშ. სკოლას" და ეს რატომღაც ძალიან მსიამოვნებდა. ახლაც ასე ვიქცევი). შემდეგ მომინია ჯარმა, მაშინდელ ლენინგრადის ოლქში, საზენიტო-სარაკეტო ნაწილში. ლოკატორს ვემსახურებოდა, "ოპერატორ ნავედენია" ვიყავი. ბევრი თავისუფალი დრო მქონდა და ვკითხულობდი (წერიტ ძალიან ცოტას ვწერდი). იმ დროსაც, ბავშვობის და სკოლის არ იყოს, ტკბილად ვივსენებ. სანკტ-პეტერბურგი ახლაც მენატრება.

სხვათა შორის, ოფიცრები ძალიან განათლებულები იყვნენ, თითქმის ყველას უყვარდა ლიტერატურა და ის ჯარისკაცები და სერჟანტები (სერჟანტებიც სავალდებულო ორწლიანით განვეულთა რიცხვიდან ვიყავით), ვინც ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებულ პატივში ყავდათ. მათი რეკომენდაციით ნავიკითხე პირველად პლატონოვი. ის განცდა ახლაც მახსოვს. ჩეხოვი და პალატონოვი ჩემთვის ორი დიდი მწვერვალია.

სხვათა შორის, ეგ ის დრო იყო, როცა მათეას რუსტი თავისი მსუბუქძრავიანი თვითმფრინავით პირდაპირ წითელ მოედანზე დაჯდა. მანამდე, ანუ წითელ მოედანზე დაჯდომამდე, მე მას მთელი ცამეტი წუთი ჩემი ლოკატორით პატიოსნად მივსდევდი, მაგრამ რაკეტის გაშვების ბრძანება არ გვექონდა, რადგან მაშინდელი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი ისეთი მთვრალი იყო, გონზე ვერ მოიყვანეს. თვითმფრინავის ჩაოგდების ბრძანებას კი, მის გარდა ვერავინ გაცემდა. მაღლობა იმ მინისტრს, რომ რუსტის ჩამოგდება იმ მომინია. ნაწილის უფროსის რეკომენდაციით, უკამოცდოდ მრიცხავდნენ ლენინგრადის ფარმაცევტულ ინსტიტუტში (მაშინ ეგეთი რამე დაშვებული იყო), მაგრამ მამაჩემმა მოხოვა, სახლში დაბრუნდით და მეც დავემორჩილეთ.

მაშინ "მოდაში" ბულგაკოვი შემოდიოდა. თავიდან რატომღაც "ოსტატი და მარგარიტაზე" უფრო "თეთრი გვარდია" მომეწონა. რამდენიმე წლის შემდეგ, აფხაზეთის ომის დროს სულ "თეთრი გვარდია" მაკონდებოდა და იქაური სცენები მიცოცხლებოდა თვალწინ - ის ომი თითქოს რაღაცით "ჩვენსას" ჰგავდა.

სტუდენტობა მაინცდამაინც მიმზიდველი არ მქონია. დაუსწრებელზე ჩავაბარე, ლექციებზე ვერ ვჩერდებოდი, "ბერეგზე" და პლაჟებზე ბევრად უფრო საინტერესო რაღაცები ხდებოდა, ვიდრე აუდიტორიებში. თან კიდევ ნაწნალი მიყვარდა (ახლა უკვე აღარ). მამაჩემს სიტყვა მივეცი, ოღონდ, ლექციებზე სიარულს ნუ ადამაძლებ, დაუსწრებელზე ჩამაბარეხენ და რასაც უნივერსიტეტში ასწავლიან, ყველაფერს გულმოდგინედ ნავიკითხავ-მეთქი. უნდა ითქვას, რომ ჩემი სიტყვა თითქმის ბოლომდე შევასრულე.

ომამდე პიესებს ვწერდი (ჩემ სახლთან ერთად დაინვა) და მიმანჩია, ამ ზას რომ გავყოლოდი, ჩემგან ურიტო დრამატურგი არ დადგებოდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ომის შემდეგ პროზაზე გადავერთე. პირველად დავწერე ვრცელი მოთხრობა "სნაიპერი". მეორე იყო "ტორეადორები", რომელიც დაახლოებით ათი წლის შემდეგ გამოვიჩინე ("სნაიპერი" ჯერ არ დაბეჭდილა).

პირველი მოთხრობა ვრცელი გამოვიდა და, როგორც უკვე მოგახსენეთ, სნაიპერზეა, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ მუხანათურად მოკლული ობოლი ძიძმების გამო შურს იძიებს. თვითონ საკმაოდ მძლავრი იყო, მაგრამ თანდათან მოსწყინდება ადამიანთა ხოცვა და ხედება, რომ მისი ბოლოც, ისევე როგორც იმათი, ვინც იმქვეყნად გაამგზავრა, გარდაუვალი სიკვდილია, რადგან მინაგანად გამოიფიტა და ადამიანური სახე დაკარგა. ხედება, რომ იმათზე უკეთესი არაფრითაა, ვისაც ესვრის. ჰოდა, სიკვდილისთვის ემზადება, ეძებს და პოულობს კიდევ მას. უნდა, რომ ამ სიკვდილით საკუთარ თავზე ამაღლდეს. ოღონდ, ერთ ადამიანურ სისუსტეს მაინც ვერ დასძლევს - უნდა "ლამაზად" მოკვდეს, სულ უკანასკნელ ნაშს კი ხედება, რომ ესაც ვერ გამოუვიდა, რადგან ისიც, ვის გადასარჩენად თავი გასწირა (ახალგაზრდა სნაიპერი), ისეთივე მკვლელად ჩამოყალიბდება, როგორიც თვითონ იყო.

- შენი და ჩვენი აფხაზეთი, სოხუმი გაიხსენე.

- "ჩემი" აფხაზეთი არასოდეს განმეორდება,

მით შეუტეს, სოხუმი.

სოხუმში ბუნებრივი გაზი არ იყო, ბალონებით დაჰქონდათ მოსახლეობისთვის. ჩემს ქუჩაზე, მაშინდელ ძიძარიაზე (ახლა ძიძარია სულ სხვა ქუჩას

ჰქვია, ყოფილ ჭოჭუას) კერძო სახლების წინ რომ გაივლიდი, ჭიშკრის გარეთ გამოდგმულ ცარიელ გაზის ბალონებს დაინახავდი (თუ სახლში არავინ იყო), გაზის ბალონზე კი ნახევარლიტრიან მინის ქილას პლასტმასის თავსახურით. მინის ქილაში (ვინიცობაა, წვიმა არ წამოსულიყო და არ დასველებულიყო "კვიტანცია" და ფული) ქვითარი იდო, ან კიდევ ისინი, ვისაც გაზი "კვიტანციით" არ ჰქონდა გამონერილი, ხურდა ფულს და ჩალისფერ მანეთიანს - დატუმბული ბალონის ღირებულებას ტოვებდნენ ბალონების დამტარებლებისთვის. არ მახსოვს, რომ იქიდან ფული დაკარგულიყოს, არავის ნასცდენია ხელი. იქნებ, დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ ასეა. სახლის გასაღებს კართან ვტოვებდით, ფეხის ტილოს ქვეშ ამოვდებდით და ეს საკუთრტო ქალაქში ხდებოდა, სადაც უამრავი უცხო ირეოდა.



გელა ჩქვანავა

კიდევ ეგ იყო, რომ ჩემს თაობაში ერთმანეთს უბნების მიხედვით კი არ ვყოფდით, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ კავშირ აბირუყავდა. კაფე და ბარი სოხუმში ყოველ ნაბიჯზე იყო. ჩემი მშობლიური კაფე "ლედნიკი" ღია კაფე იყო, გადახურულ ქვეშ გამოტანილი მაგიდებით. სიყვარულით "სკვანზიასკაც" ვეძახდით. იქ საბირჟაოდ მთელი ქალაქიდან დადიოდნენ "ზავსიგდატაები", ახალრანიენლებიც, ძველრანიენლებიც, ჩანბნელებიც, ემბელებიც, ძიძარელებიც, ვიეშელებიც და რა ვიცი, კიდევ ვინ არა. ერთი "სასტავი" ვიყავით "ლედნიკელები", საერთო მრწამსით და ჩვენი კოლორიტებით თექვსმეტიდან ორმოცდაათ წლამდე. უფროსები გვასწავლიდნენ, რომ არ გველოთავა, არ გაგვეჩხირა, ქალაქში, ადგილობრივი გოგოების წინ რუსის ნაშებით არ გვემარიაჟა და კიდევ ბევრ კარგ რამეს. ერთი კაფის ბირჟავიკმა მეორე კაფის ბირჟავიკის ხასიათი იცოდა - რა ეწყინებოდა, რა გაუხარდებოდა.

მე ახლაც სოხუმში ვარ. იქ რეალურად დაბრუნების იმედი ორი-სამი წელია უკვე აღარ მაქვს (2008 წლის შემდეგ, რომ დავაკონკრეტო), მაგრამ თავის დასამშვიდებლად ერთ კარგ ხერხს მივაგენი - ქუჩებს და ხალხს ვიხსენებ და მაგრად მშველის. იმ დასკვნამდე მივდი, რომ ამქვეყნად უკვალოდ არაფერი ქრება, არც შეგძენებები, არც ნათქვამი სიტყვა თუ გამოხედვა, არც ხალხი, არც ქალაქები და ქალაქელები და არც სხვა რამეები. ეს ჩვენ გგონია (რასან, მოკლე მესხივება გვაქვს), რომ ზოგი რამ, განსაკუთრებით კი ის, რაც ჩვენ გვანყობს, შეიძლება უკვალოდ გაქრეს, სამუდამოდ დავიწყებას მიეცეს. ისეთი რაღაცები გამახსენდება ხოლმე, საკუთარი თავის მიკვირს.

ჩემთვის ორი მაგიური სიტყვა არსებობს - "სოხუმი" "ძიძარია" - ქუჩა, სადაც სოხუმში ვცხოვრობდი. მათ გავგონებზე ახლაც მეტირება.

ძიძარია დაახლოებით კილომეტრნახევრის სიგრძის ქუჩა გახლდათ, რომელზეც სრულიად უსისტემოდ იყო მიმობნეული საცხოვრებელი კორპუსები და კერძო სახლები. იქაურებიც ორ ნაწილად ვიყოფოდი ერთმანეთისთვისაც და სხვებისთვისაც - კერძოსახლელებად და კორპუსელებად. მე ყოფილი კერძოსახლელი ვარ. კერძოსახლეები მივიჩნევდით, რომ კორპუსელებზე უკეთესნი ვიყავით. კორპუსელები კი კერძოსახლეებს ზემოდად გადმოგე-

ყურებდნენ არა მარტო პირდაპირი (მათი ბინების ფანჯრებიდან და აივნიდან ჩვენი კერძო სახლები თავის ეზოებიანად ხელისგულივით მოჩანდა), არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც, მაგრამ მაინც ერთნი ვიყავით. კერძოსახლეებს კორპუსების ეზოში გვიყვარდა დაბირჟავება, კორპუსელებს კი ჩვენი სახლების ჭიშკრებთან ძელსკამებზე ჩამოსხდომა. მოკლედ, ერთმანეთს ვავსებდით. კორპუსელებში მრავლად იყვნენ ყოფილი კერძოსახლეებიც, რომლებიც თავის დროზე კერძო სახლებში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი ეზოების ადგილას მთავრობამ კორპუსები წამოჭიმა. ყოფილი კერძოსახლელების უმრავლესობა ჩვენ თანავგეგმრებდა. ასე რომ, ჩვენ უმცირესობაში წამდვილად არ ვიყავით, როგორც ეს გარემეს შეიძლებოდა მოჩვენებოდა. ჩვენს უბანში, სადაც სამი დიდი საცხოვრებელი კორპუსი და არც ისე ცოტა კერძო სახლი იდგა, ყველა ერთმანეთს ვიცნობდით. თუკი მე, ან რომელიმე კერძოსახლელის მეზობლის ბავშვი სახლში მისვლას დავაგვიანებდით, კარგად მახსოვს, ჩვენი მშობლები ცხრა სართულიანი კორპუსის რომელიმე, მაღალი სართულის მობინადრეს დაუურეკავდნენ, თუ არ დამზარდები, ზევიდან გადმოხედე ქუჩას, იქნებ ჩემი ბავშვი დაინახო სადმეო.

საინტერესო ქუჩა იყო, ძალიან საინტერესო ხალხით დასახლებული. ცხოვრება არ ჭირდა, არავის შიოდა, იქნებ, ამიტომაც ხალხი უფრო კეთილი იყო. ახლაც იმ ბავშვობისდროინდელი მოგონებებით ვცხოვრობ, რომელიც ჩვენს ნახევრადურბანიზებულ ძიძარიას ქუჩას უკავშირდება.

ჩემს მე-17 სკოლასთან ახლოს სავიწეთიც იყო, უზარმაზარი ტურისტული კომპლექსი, სადაც წლის ნებისმიერ დროს დამსვენებლები ირეოდნენ, სამშობაო სახლიცა და რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსიც თავისი კოლორიტული ეზოებით. შეიძლება ითქვას, რომ იმ ქუჩაზეც, სადაც ჩემი სკოლა იყო, ცხოვრება დულდა.

სანამ ინსტიტუტს დავამთავრებდი, დაიწყო ომი. ჩვენ, უბრალო ხალხს იმდენი ჭკუა არ აღმოგვაჩნდა, რომ პოლიტიკოსებს არ ავყოლოდით და თანამოქალაქებს ერთმანეთი არ გვეუწყუა, ერთმანეთის სისხლში არ გავგვეგარა ხელები და არ მოგვერწყა ჩვენი მშობლიური ქალაქის ქუჩები, არ დაგვევობლებინა ერთმანეთის შვილები. ორივე მხარემ ეს სამშობლოს სახელით ჩავიდინეთ - სამშობლოს, რომელიც საერთო გვექნოდა. ჩვენ მოიყვანი ვიყავით, მაგრამ ის პოლიტიკოსები, რომლებმაც ჩვენი სიბრყვით ისარგებლეს, სრული ნაძირლები აღმოჩნდნენ. მას შემდეგ ჩემთვის დიდი პოლიტიკა ტიპური არამზადების თავშესაფარია (ამას ხაზს ვუსვამ) - არამზადებისა, რომელიც მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობენ - გახდნენ დიქტატორები. სხვა რამისთვის მათ ჭკუა და ფანტაზია ზოგადად არ ყოფნით (არც კაცობა, სხვათა შორის).

- ვინ არიან თქვენი გმირები ("კოლორიტები" კარგად მახსოვს), საიდან მოდიან და საითკენ მიდიან...

- ჩემი გმირები ის ხალხია, ვისაც მე ვიცნობდი და ვიცნობ, ვინც მენატრება, ვისაც მოეფერებოდა და მომფერებოდა, ვისთვისაც რაღაც დამიძაგვია და ვისაც ჩემთვის რაღაც დაუშვავებია. მძაფრი მგერძნებების გარეშე ადამიანი ვერ დაგამახსოვრდება. ეგრეც ცხოვრება მოწყობილი და, ალბათ, საინტერესოც აღმოვაჩნდა.

ბევრი ისეთი მოთხრობა მაქვს, რომლის გამოქვეყნების მერიდებაც, იმიტომ, რომ სოხუმელი მეზობლები საკუთარ თავს შეიცნობენ, მაგრამ მაინც ვწერ, როცა მომენატრებოდა, იმქვეყნად გადასახლებულებიც და ცოცხლებიც. ისინიც სწორედ ასე მოიქცეოდნენ, წერა რომ მექვლით.

- რა არის, რაც ინერება? რა აწერინებს მწერალს?

- რაც ინერება, ის საკუთარი წარსულია და მომავალი ერთდროულად. ადამიანები არც ვკეთილშობილებით და არც ვბოროტდებით, ერთ წრეზე გტრიალებთ. არის დრო და "მომენტი", ეპოქა, როცა გაგვიჭირდება, ან ომი დაგვატყდება თავს, ან სხვა უზედურება, "ვშიშვლებით", გაუტანლები და სასტიკები ხდებით, ეკლავთ, ერთმანეთს ვიძირავთ, რათა სხეული გადავიჩინოთ და სული დავიღუპოთ. მერე ჩარხი წაღმა დატრიალდება და სიკეთის ქმნის სურვილით ვინთებით, მოწინაების ხასიათზე ვდგებით. არ შეიძლება, ადამიანი ერთგვაროვან გარემოში ამყოფო, ან მხოლოდ კარგში, ან ცუდში, იმიტომ, რომ გადაგვარდება.

ზოგჯერ ტკივილი განვრინებს და ზოგჯერ სიხარული. მთავარია, გულწრფელი იყო და ადამიანი გეცოდებოდეს, მკითხველს მხოლოდ ოდნავ გაეკეკულყო და უბრალოდ, ესაუბრო ყოველგვარი მანქანა-გრენა-ღვარჭნილობის გარეშე. ძალიან ნიჭიერი მწერლები ვიცი, რომლებიც მთამბეჭდავ სახეებს ქმნიან, ბევრ ისეთ რაღაცას ამწვენენ, რასაც საშუალო დონის მწერალი ვერ დაინახავს, მაგრამ რაღაცნაირი ღვარძლიანები არიან, ქედმაღლები, რაც მანერულობაში გადაუდით და ძალიან ბევრს აგებენ.

- რას ფიქრობს თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი გელა ჩქვანავა?

- თანამედროვე ქართულ პროზაზე გელა ჩქვანავა, როცა საქმე ეხება უფროსი თაობის, ცოცხალ კლასიკოსებად ქცეულ მწერლებს, ძალიან კარგი



წარმოდგენისაა. ბედნიერი ვარ იმით, რომ შემიძლია ნავიკითხო ჩემი საყვარელი "მუსიკა ქარში", ან ჭეიშვილის სხვა მოთხრობები და კიდევ სხვა მწერლების არაერთი რამ. შედარებით ახალგაზრდები და ახალგაზრდები კი ჯერ უნდა გავიზარდოთ.

სულ იმის მოლოდინში ვარ, რომ გამოჩნდება კარგი ახალგაზრდა პროზაიკოსი ან პროზაიკოსები. ერთი უცნაურობის მომსწრენი ვართ - ამოიჩვენებენ რომელიმე ნიჭიერ ახალბედა პროზაიკოსს ან პოეტს და თითქოს ვიღაცის დავალებით, მიზანმიმართულად იწყებენ მის განდიდებას პრესით, ტელევიზიით. მერე ხდება ისე, რომ ზედმეტი ქება-დიდება, არ მომერიდება ამის თქმა, თავში აუჯვარდებათ (საშინლად ამბიციურნი ხდებიან), მოეშვებიან, საკუთარ წვეწმი ისარშებიან, მხოლოდ არაორდინალობით ცდილობენ მკითხველის მოხიზვლას. ეს კი ყველაზე იაფფასიანი ტრიუკია - ზვალ შენზე უფრო არაოდინალური ვინმე გამოჩნდება და აღმოჩნდება, რომ სულ ფუჭად დაგიკარგავს დრო.

არადა, ნიჭიერები წამდვილად რომ არიან, მაგრამ ლუპავთ ის, რომ სხვა მწერლებთან შედარებით ნაკლებადკონკურენტულ გარემოში ამყოფებენ, ოღონდაც კი დანერონ რამე და თანატოლებზე უარესიც რომ გამოუვიდეთ, მაინც შეაქტებენ. მე პირადად ორი-სამი ეგეთი ახალგაზრდა პროზაიკოსი ვიცი. მჯერა, რომ ისინი ადრე თუ გვიან გონს მოეგებიან, ყველაფერს მიხვდებიან, პიარზე უარს იტყვიან, საკუთარ თავს ჩაუღრმავებდებიან, საკუთარ თავზე სერიოზულად იმუშავებენ და კარგ ტექსტებსაც დადებენ.

- ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება, ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გეოხებოდა.

- ჩემს მკითხველებთან კონტაქტი ნაკლებად მაქვს. ეს, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ძალიან არ მიყვარს ლიტსალამოების, მეხვედრების, პრეზენტაციების მთავარ გმირად ყოფნა. მიჩვენებია ჩემი წიგნის მკითხველს სუფრასთან შეხვედე. ოფიციალური და ნახევრადოფიციალური გარემო მაზნესს და მალიზიანებს.

- "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კუფერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? "კარცერ ლუქსის", უფრო ზუსტად წიგნის "იძულებით" შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

- ლიტერატურისმოყვარულები არ იცვლებიან. ისინი ისევ ისეთები არიან, როგორც 40 წლის წინათ იყვნენ, ისევ ისე ნადირობენ კარგ წიგნზე და ისევ ისე გულწრფელად უხარიათ, თუ კარგი მწერალი გამოჩნდა სარბიელზე.

არა მგონია, წიგნის იძულებით შეყვარება შეიძლებოდეს. თუ კაცს მიდრეკილება აქვს, ადრე თუ გვიან იპოვინს და შეიყვარებს.

- რას ეკითხებიან ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე, კითხვა რომლის პასუხი ზუსტად იცით?

- რომელია კითხვა, რომელზე პასუხსაც ვერასდროს მივიღებ და რომელია კითხვა, რომლის პასუხიც შესაძლოა, ზუსტი იყოს. პასუხი ბევრ რამეზე არ ვიცი, სწორედ მაგიტომაც ვარ პროზაიკოსი, თორემ ფილოსოფოსი ვიქნებოდი (არც ირონიულად ვამბობ ამას და არც ზუმრობით).

ზუსტად კი ერთი რამე ვიცი - ჩემს შვილებს ჩემი არასოდეს არ უნდა შერცხვით, არც ჩემს სიცოცხლემ და არც ჩემი სიკვდილის შემდეგ.

იბეჭდება შემოკლებით

ინოვაციური, თამაში და თითქმის უპრეცედენტო

აქ მუსიკალურთან ერთად აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებასაც ეუფლებიან

აიაა ჰონია

ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი - N1“, რომლის მოსწავლეთა უმეტესობა აფხაზეთი-დან დევნილია, უკვე წლებია, მოსწავლეებს მუსიკალურ ხელოვნებას აზიარებს. ამ სკოლის დირექტორმა თამარ ახალაიამ რამდენიმე ხნის წინათ სკოლის აღსაზრდელებს, მუსიკალური ხელოვნების პარალელურად, აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნების დაუფლებაც შესთავაზა, რაც ჩვენს სინამდვილეში ინოვაციურის გარდა, თამაში და თითქმის უპრეცედენტოცაა. სიახლის დანერგვის ნებართვა თბილისის მერიამ დაუბრკოლებლად გასცა და ეს იმ გუნდის პროფესიონალიზმმა განაპირობა, რომელსაც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ექიმი-ტრავმატოლოგი და ორთოპედი სიმონ დარახველიძე ხელმძღვანელობს.



სიმონ დარახველიძე აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებას ათეული წლებია ემსახურება. თავად მეოთხე დანის მფლობელია და ამ საქმის არაერთი წარმატებული მიმდევარი ჰყავს აღზრდილი. სწორედ მისი დამსახურებით დაარსდა თავის დროზე სოხუმში ამიერკავკასიაში პირველი აღმოსავლური ორთაბრძოლების სწავლების სკოლა. აფხაზეთის ომის შემდეგ სიმონ დარახველიძემ და მისმა მოსწავლეებმა საქმიანობა თბილისში განაგრძეს და მიუხედავად სიძნელეებისა, დღემდე ერთგულეხენ მას.

სიმონ დარახველიძემ და მისმა გუნდმა, აღმოსავლური ორთაბრძოლების გაცნობის მიზნით, ხელოვნების სკოლაში პრეზენტაცია გამართა. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ამით დაინტერესდა. შესაბამისად, სკოლაში გაიხსნა ფიზიკური გაჯანსაღებისა და აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნების შემსწავლელი განყოფილება, სადაც ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ორი ჯგუფი აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებას, აიკიდოს, ეუფლება. აიკიდო (იაპონ. აი-ჭარმონია, კი-სასიცოცხლო ენერგია, დო-გზა) იაპონური საბრძოლო ხელოვნება აღმოსავლურ ორთაბრძოლათა სხვა ნაირსახეობებისგან გამოირჩევა აშკარად გამოხატული თავდაცვითი ხასიათით - შეტევის ტექნიკა მისთვის უცხოა.

წვრთნები, გარდა ფიზიკური მომზადებისა და გაჯანსაღებისა, ფსიქო-ემოციურ რეაბილიტაციასა და ინტელექტუალურ მომზადებასაც ითვალისწინებს. ეს არის ორთაბრძოლები აგრესიისა და შეჯიბრებითობის გარეშე. წვრთნები პატრიოტული გრძნობების გაღვივებასაც ემსახურება.

თამარ ახალაია: - ყველაფერი ასე დაიწყო: ჩვენმა ერთ-ერთმა ამჟამინდელმა ინსტრუქტორმა სერგო მურუსიძემ ჩვენ სკოლაში შვილი მოიყვანა. ნახა მოსწავლეები, რომელთაც ხერხემალთან,

წვივ-სასხართან, ტერფთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ. ამის გამო თქვა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, ამ ასაკის მოზარდები გამაჯანსაღებელი ვარჯიშებით ანუ აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებით დაკავებულიყვნენ. ეს ჩვენთვის სიურპრიზი იყო. ბატონმა სერგომ გვითხრა, რომ ჩაატარებდნენ პრეზენტაციას და გვაჩვენებდნენ, თუ რას წარმოადგენს ეს ხელოვნება. პრეზენტაცია სიმონ დარახველიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა. ბატონ სიმონს არა მხოლოდ სოხუმში და აფხაზეთში, არამედ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც კარგად იცნობენ. მას ერთგული მოსწავლეები და მიმდევრები ჰყავს ბევრ ქვეყანაში. თავის დროზე, სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ ამიერკავკასიაში პირველად აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნების სკოლა სოხუმში გაიხსნა. სოხუმელების მოწვევა ჩვენთვის საინტერესო იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ არ დაგვეკარგა ადამიანური რესურსი და ტრადიცია, რომელიც იქ წლების განმავლობაში იქმნებოდა და ასე ერთგულად თბილისშიც გადმოიტანეს. ჩვენს სკოლაში გამართულ პრეზენტაციაზე ესწრებოდნენ: თერაპევტი, პედიატრი, ქირურგები. ამდენად, ჩვენს მოსწავლეებს პროფესიონალები ავარჯიშებენ და აბსოლუტურად დაცულები არიან. ვარჯიშის დროს დიდი ადგილი ეთმობა, როგორც ფიზიკურ გაჯანსაღებას, ისე მოზარდების ფსიქო-ემოციურად სწორად აღზრდას. აღმოსავლური ორთაბრძოლების დაუფლების შედეგად მოზარდს აგრესია უქრება. მას აღარ უნდა ჩხუბი, იარაღის გამოყენება. ბავშვები უფრო კომუნიკაბელურები ხდებიან, უმჯობესდებიან მეხსიერება, სისხლის მიმოქცევა.

- თქვენს სკოლაში აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებას მხოლოდ ხელოვნების სკოლის მოსწავლეები ეუფლებიან, თუ აქ ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისწავლოს?

- ჯერჯერობით ამით მხოლოდ ჩვენი სკოლის მოსწავლეები არიან დაინტერესებულნი. ჯერ ამ პროექტის საპილოტე ვარიანტს ვაზორციელებთ. ხელოვნების სკოლების ისტორიაში ასეთი პრეცედენტი არ გვხვდება. უკვე გვექონდა რამდენიმე საწვწვებელი გამოსვლა. ძალიან დაინტერესდა ქალაქ თბილისის მერიის კულტურისა და განათლების განყოფილება, რომელმაც დაგვრთო ნება, სკოლაში ასეთი მიმართულების სწავლება შემოგვეღო. დაგვრთეს ნება იმდენად, რამდენადაც ადამიანები, რომელთაც ბავშვებთან აქვთ შეხება, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არიან. მათ გარდა სპეციალური განათლებისა, სამედიცინო განათლებაც აქვთ და დიპლომირებული პედაგოგები არიან. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ინსტრუქტორები ენთუზიაზმზე მუშაობენ. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეს არ არის სპორტის სახეობა, ეს არის ხელოვნება, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება. მომავალში აფხაზეთის მთავრობის დახმარების იმედიც გვაქვს, სხვანიარად ძალიან გავგიჭირდება. ეს იმითაც არის საინტერესო, რომ ჩვენს სკოლაში ინკლუზიური სწავლებაც დაგვირგია.

სიმონ დარახველიძე: - ჩვენ საქართველოში ვიყავით პირველები, ვინც ეს სკოლა გახსნა. ქალბატონმა თამარმა უცებ აიტაცა ჩვენი წინადადება და უკვე გვაქვს კიდევ გარკვეული წარმატებები. წლებია ვიბრძვით, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. გვინდოდა, აფხაზეთთან კონტაქტები დაგვემყარებინა და ერთობლივი შეხვედრები მოგვეყვით, მაგრამ ამაში ხელსაც კი ვკმლიდნენ. ჩვენი ინსტრუქტორები იაპონურ სერთიფიკატებს ფლობენ. ჩემი მოსწავლეები ამერიკაში, საფრანგეთში, ისრაელში, მოსკოვში საქმიანობენ. ჩვენ მოზარდებს ფიზიკური მომზადების გარდა, პატრიოტიზმსაც ვუნერგავთ. თუ მეტრძოლი სული არ იქნება, პატრიოტიზმიც გაქრება და ვის მოუნდება აფხა-

ზეთში დაბრუნება? ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ახალ თაობას ეს გრძნობა გაეუღვივოთ.

ირაკლი გუნია, ინსტრუქტორი: - თბილისში 1998 წელს აიკი ჯიტსუ გომიკაის სკოლა დაფაარსეთ. ამ სკოლაში ჩვენ ვასწავლით აიკიდოს, ჯიუ ჯი ცუს, კენდოს, კარატეს. უამრავმა ახალგაზრდამ გაიარა ჩვენს ხელში. ეს ყველაფერი წლების განმავლობაში ენთუზიაზმზე კეთდებოდა. ხელოვნების სკოლაში კი აიკიდოს ვასწავლით და გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს ვატარებთ. ვასწავლით იმასაც, თუ როგორ უნდა მართონ ემოციები. აფხაზეთში ახალი თაობა უნდა დაბრუნდეს, რომელსაც აუცილებლად უნდა ჩაუენერგოთ პატრიოტიზმი. ისინი ჯანსაღები უნდა იყვნენ ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. არანაირი აგრესია, არანაირი ცემა-ტყეპა.

სერგო მურუსიძე, ინსტრუქტორი: - თავის დროზე, როდესაც აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ვარჯიში დავინწყე, გავეჯანსაღდი, გონება, აზრები დაფალავე და ახლა იგივეს ვაკეთებამი სხვებს ვეხმარები. აიკიდოს მსოფლიოში ბევრი ვარჯიშობს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მთავარი ბატონი სიმონის გამოცდილებაა. ჩვენ მას უნდა გავუფრთხილოდეთ.

გაკვეთილები ტატიამის ნაცვლად ხალიჩებზე, არც ისე კეთილმოწყობილ ოთახში ტარდება. მიუხედავად არსებული პირობებისა, რამდენიმე საჩვენებელი გამოსვლა უკვე ჰქონდათ კიდევ მარჯანიშვილის თეატრში გამართულ კონცერტსა თუ სხვა საღამოებზე. ამიერიდან ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი - N1“ ფესტივალებსა თუ კონცერტებზე მაცურებლის წინაშე მუსიკალური ხელოვნების გარდა, აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებითაც აპირებს წარსდგეს.

სარგამართო კონცერტი-მილოცვა ქართველ და აფხაზ ქალებს

აიაა ჰონია

8 მარტს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა და ახალგაზრდულმა კაპელამ კონცერტი გამართა. კონცერტი ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა და მისი ორგანიზატორი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო იყო.

კონცერტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და აფხაზეთიდან დევნილი 400-მდე ქალბატონი დაესწრო, მათ შორის იყვნენ თბილისში მცხოვრები აფხაზი ქალბატონები.

დამსწრეთ აფხაზეთის მთავრობის სახელით ქალთა დღესასწაული მიულოცა **აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ალექსანდრე აპლაკოვმა**. მან თქვა: "სამწუხაროდ, აქ დამსწრე ქალბატონთა უმეტესობას დევნილობის მიმიხვედრის ერგო. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ თითოეული ჩვენგანის ოჯახში გვახსოვს აფხაზეთი; რომ ჩვენი ბავშვები იზრდებიან აფხაზეთის სიყვარულით და იმ რწმენით, რომ ჩვენ აუცილებლად დაგვბრუნდებიან აფხაზეთში და იქ ცხოვრებას კვლავ აფხაზ თანამომხეებთან ერთად გავაგრძელებთ. ვფიქრობდით, რა საჩუქარი მიგვეძღვნა თქვენთვის და ბოლოს გადავწყვიტეთ, თქვენს წინაშე წარმდგარიყო ერთი ლამაზი კოლექტივი, რომელმაც მიუხედავად ასევე დევნილობის სიმძიმისა, განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში".

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და აფხაზეთის ახალგაზრდული კაპელა ჟანრობრივად საკმაოდ მრავალფეროვანი



პროგრამით წარსდგა მაყურებლის წინაშე. სცენაზე ქართული და აფხაზური სიმღერებისა და ცეკვების საუკეთესო ნიმუშები შესრულდა. ახალგაზრდულმა კაპელამ სრულიად ახალი, მრავალფეროვანი რეპერტუარი - საგუნდოსთან ერთად საესტრადო ნაწარმოებები წარმოადგინა. განსაკუთრებით საინტერესო, მეტიც მაყურებლისთვის ერთგვარი სიურპრიზი იყო კაპელის სოლისტების მარიამ პაჭკორიასა და თინიკო ჯანელიძის მიერ შესრულებული ქართული და უცხოური ესტრადის ცნობილი ჰიტები.

აფხაზეთის ახალგაზრდული კაპელა და აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი არაერთი საერთაშორისო კონკურსისა თუ ფესტივალის გამარჯვებულნი არიან, რაც კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელის გურამ ყურაშვილისა და ანსამბლის ქორეოგრაფის სერგო გეგეჭკორის უდიდესი შრომის შედეგია. ამის გამო ახლა მათ ქალბატონების განსაკუთრებული მაღლიერება და ტამი დაიმსახურეს.

დედის დღეს მიეძღვნა

ნონა ბარაია

6 მარტს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში დედის დღისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო გაიმართა. მისი ორგანიზატორები იყვნენ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, სსიპ კინოცენტრი "აფხაზეთი", აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირი და საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ტელე-რადიო-ჟურნალისტიკის კაბინეტის წრის წევრები (ხელმძღვანელები: თ. გაბუნია და მ. გვენეტაძე).

საღამოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა დედები, ღვაწლმოსილი პედაგოგები, მრავალშვილიანი აფხაზი და ქართველი დედები: მერი ციკოლია, თინა აჩბა, ნათელა ბოკუჩავა, ლამარა გაბეულია, თეა კოტუა, რაისა ქარაია, თამარ ახალაია, მზია გვალია, რიტა ცინდელიანი, მარინა ნაჭყებია, მანანა კორძაია, შორენა ბედელაძე და სხვები სტუმრობდნენ.

ამ ქალბატონებისთვის გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის საჯარო სკოლების შემოქმედი ბავშვები, ხელოვნების სკოლა "აფხაზეთი N1"-ის ფოლკლორული ანსამბლი "აგუძერა", მარი და სანდრო ელიეშვილები, გიორგი ივანიშვილი, სამეჯლისო ცეკვების გოგონათა ანსამბლი "გაზაფხული", პროექტ "ნიჭიერის" მონაწილეები ქრისტი და მარი შამიაშვილები.

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდო-



ბის რესპუბლიკური სასახლის ტელე-რადიო-ჟურნალისტიკის კაბინეტის უფროსმა პედაგოგმა მადონა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ "აფხაზეთის საჯარო სკოლების შემოქმედ ბავშვებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ტელე-რადიო-ჟურნალისტიკის კაბინეტის წევრებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. მათ ერთად არაერთი მნიშვნელოვანი სასწავლო-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი განახორციელეს და ეს ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება.

ზეიმის მონაწილეებს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელით, დედის დღე მიულოცა და მოწვეულ ქალბატონებს ყვავილების თაიგული და საჩუქრები გადასცა სამინისტროს განათლებისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მედიკო კვარაცხელიამ.

აფხაზეთის მოზარდები ამერიკის საედიოში

თაონა ბიბლაია

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს და აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში უმასპინძლა. მიღება საელჩოს ბიბლიოთეკაში გაიმართა.

25-მდე მოზარდს საელჩოს საზოგადოებრივი საქმეების უფროსი მაიკლ ტერნეტი შეხვდა. მან ახალგაზრდებს საელჩოს საქმიანობა ჯანდაცვის, განათლების, ეკონომიკის, სამხედრო თანამშრომლობის კუთხით გააცნო. შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა და ახალგაზრდებმა მათთვის საინტერესო

კითხვებზე პასუხები მიიღეს. შეხვედრის ფარგლებში მოზარდები, ასევე გაეცნენ იმ პროგრამებს, რომლებსაც საელჩო დევნილების, ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლების დასახმარებლად ახორციელებს. ახალგაზრდებს გაცვლით პროგრამებსა და საელჩოში სტაჟირების გავლის შესაძლებლობებზე განათლების განყოფილების წარმომადგენელი, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი თეა კუჭუხიძე ესაუბრა. მოზარდებს საელჩოს შემადგენლობაში შემავალი ადმინისტრაციული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებები დაათვალიერებინეს და სუვენირები უსახსოვრეს.



ამერიკის საელჩოში

შთაბაჟდილაბაბით სავსა დღე დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა

თაონა ბიბლაია

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ აფხაზეთიდან დევნილ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 40-მდე მოზარდს უმასპინძლა. შეხვედრა ამ ბავშვებისა და სამინისტროს თანამშრომლობის ამსახველი მრავალფეროვანი ფოტოგამოფენის ფონზე წარიმართა.

შეხვედრას უძღვებოდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ქვაჩახია. მან თქვა: "21 მარტს მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს. წლებულს ამ დღის მთავარი გზავნილია "შე მინდა სწავლა!" მთელი მსოფლიოს მოწოდებას ჩვენც ვუერთდებით და კიდევ ერთხელ შევასხენებთ საზოგადოებას, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს აქვთ განათლების, შრომის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. ჩვენი შეხვედრაც ზოგადად შშმ მოზარდების კეთილდღეობის, ღირსებისა და უფლებების აღიარებისა და მხარდაჭერის გამოხატულებაა. თითო-

ეული ჩვენგანის მოვალეობად უნდა იქცეს, ხელი შეუწყოს ამ არაჩვეულებრივად თბილი და კეთილგანწყობილი ბავშვებისთვის სათანადო გარემოსა და პირობების შექმნას, მათი თანამონაწილეობის და ჩართულობის ნახალისებას სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში. ეს კი ამ სინდრომის მქონე და ზოგადად შშმ მოზარდების მიმართ საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ინფორმირებულობას ამაღლებს. აქ მყოფ ბავშვებს და ჩვენს სამინისტროს ურთიერთობის 5 წლიანი ისტორია გვაქვს, 5 წელია ერთად ვგმავთ სხვადასხვა შეხვედრებს, ექსკურსიებს, გამოფენებს, საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებს, სანაცვლოდ ამ ბავშვების სიტბოს და სიყვარულს ვიღებთ".

შემდეგ დამსწრეთ მიმართა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ალექსანდრე აპლაკოვი: "დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გვინდოდა, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის ლამაზი და შთაბეჭდილებებით დატვირთული დღე გვეჩუქებინა; გვეთქვა მათთვის, რომ დაუნის სინდრომი არ არის ავადმყოფობა და თქვენ გაქვთ უფლება, იყოთ საზოგადოების ისეთივე სრულყოფილებიანი წევრები, როგორც თქვენი სხვა თანატოლები არიან და იშრომონ და ისწავლოთ მათ მსგავსად. თქვენი ნიჭიერების დასტური კი არის ის კლიბიკი, რომლის პრეზენტაციაც აქ შედგება. აფხაზეთის მთავ-

რობა და ჩვენი სამინისტრო კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ, რათა ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების საზოგადოებასთან ინტეგრაციას, მათ ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში".

"აქ გამოფენილ ნახატებში ჩანს ამ მოზარდების შინაგანი სამყარო, ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ სულიერ განვითარებაში, მათთვის უნდა ვილოცოთ", - თქვა მამა ალექსი.

ბავშვებს ჩაუტარდათ ხატვის მასტერ-კლასები და სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი აქტივობები. თბილისის №202 სკოლა-პანსიონის მოსწავლეებმა და ხელოვნების სკოლა "აფხაზეთი №2"-ის მოსწავლეთა ფოლკლორულმა ანსამბლმა საგალობლები და ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს. გაიმართა მათივე მონაწილეობით გადაღებული კლიპის - "საქართველოს შვილები" პრეზენტაცია. კლიპში გახმანებული სიმღერა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით ჩაინერგა.

შეხვედრის ბოლოს ყველა მოზარდს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი, რაც სათამაშოების მაღაზია "ცეროდენას", სუპერმარკეტ "აკვავეიტას", საკანცელარიო მაღაზია "უნიპაპის", საჩუქრების მაღაზია "wonderful toy"-ს თანადგომით გახდა შესაძლებელი.

ხელოვნების სკოლა "აფხაზეთი №1" გინვეთ საგაზაფხულო წარმოდგენაზე!

2013 წლის 29 მარტს, 16:00 საათზე ხელოვნების სკოლა "აფხაზეთი №1" მართავს საგაზაფხულო კონცერტს. საღამოზე წარმოდგენილი იქნება საფორტეპიანო, სოლო სიმღერის და სიმებიანი გიტარის განყოფილებები. მოზარდები შეასრულებენ საფორტეპიანო მინიატურებს



და საესტრადო სიმღერებს. მაყურებლის წინაშე ასევე წარსდგებიან სკოლის აღსაზრდელები, რომლებიც მონაწილეობდნენ ისეთ საერთაშორისო ფესტივალზე, როგორიცაა "მომავლის ვარსკვლავი" და რესპუბლიკური ფესტივალი "იპოვე შენი ვარსკვლავი".

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №37, III სართული, სკოლის კამერული დარბაზი.



ოკუპირებული ტერიტორიის (გალის რაიონი) აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო იწყებს ოკუპირებული ტერიტორიის (გალის რაიონი) აბიტურიენტთა რეგისტრაციას 2013 წლის ეროვნული გამოცდების მოსამზადებელ ცენტრში ჩარიცხვის მიზნით.

ცენტრის სპეციალისტები 4 თვის განმავლობაში გადაამზადებენ აბიტურიენტებს შემდეგ სასწავლო დისციპლინებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ზოგადი უნარ-ჩვევები, უცხო-ენა (რუსული).

ცენტრი მოქმედებს აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის ბაზაზე.
მისამართი: ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის გამზირი №222.



ალექსანდრე აპლაკოვი და მანანა ქვაჩახია



ხატვის მასტერკლასი